№ 47

პარასკევი,
23 ოქტომბერი
1909 წ.

მომავალი

№ 47

პარასკევი,
23 ოქტომბერი
1909 წ.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„მომავალი“

გამოდის ყოველ-დღე, გარდა კვირა-უქმის მეორე დღეებისა

გაზეთი ღირს: როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ერთი 7 მან., ნახევარი წლით 4 მანეთი. 1 **ოქტომბრიდან წლის ბოლომდე** თფილისში 2 მ. 20 კ. თფილისს გარეთ 2 მან. 50 კ. **თვიურათ:** თფილისში 80 კ., თფილისს გარეთ 90 კაპ. ცალკე ნომერი—5 კაპ. ადრესის გამოცვლა ღირს 40 კაპ. (შეიძლება მარკებითაც).

გაზეთის გამოწერა შეიძლება **მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.**

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კ.; სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 5 ს—მდე 3 მ. ხუთი საათის შემდეგ—მეტი. ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველდღე, დილის 9 ს. ნაშუადღ. 2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე. კვირა-უქმეებში დილის 11—12 საათამდე. რედაქცია ხელმოუწერელ წერილებს არ ბეჭდავს. **დაუბეჭდავ მცირე წერილებს არ ინახავს და მათ შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას და მოლაპარაკებას არ კისრულობს.**

რედაქციის ადრესი: რუსის ქუჩა, სახლი № 3, ზემო სართულში.

ფულის გამოსაგზავნი ადრესი:

Тифлисъ, тип. „Шрома“, **Калистрату Конст. Цуладзе.**

ვლადიმერ იაგორის ძე გვარჯალაძე, ევგენია და ილიკო ვლადიმერისძენი გვარჯალაძენი, იაგორ ლაზარეს ძე გვარჯალაძე, მართა ოთარის ასული გვარჯალაძისა, მოსე და კონსტანტინე იაგორისძენი გვარჯალაძენი და ვასასი გლახუნის ასული გვარჯალაძისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი მეუღლისას, მეორენი დედისას, მესამე მეოთხე, მეხუთენი და მეექვსე რძლისას

ტერეზი ტრიფონის ასული გვარჯალამისა.

დაკრძალვის დღე დანიშნულია ოქტომბრის 24, დღითი შაბათს, 12 საათზე, დაბა ლანჩხუთში იოანნე ნათლისმცემლის ეკლესიაზე. (1—1)

თფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლი და სამშობიარო განყოფილებით. ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 7, „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

ბალარჯევი ვ. დ. შინაგან და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა კვირისა 11—12 ს.

გედევანიშვილი მ. ა. ნერვების და ელ. ორშაბ., ოთხშ. და პარ. $10^{1}/_{2}$—11.

გურკო ა. გ. შინაგანი. შაბათს 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

კარშინი ა. ა. კანისა და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^{1}/_{2}$—$3^{1}/_{2}$ ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინაგ., სამშ. და შაბ. 10—12.

მანსვეტაშვილი ვ. მ. შინაგანი. ორშაბ., ხუთშ. და შაბ. 1—2.

მელიქიშვილი ნ. ჩ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 12—1 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს. თვალის. ორშაბათ., ოთხშ. და პარსკ 2—$2^{1}/_{2}$ ს.

პირადოვი რ. ბ. ქირურგ., ყოველ დღე 11—12 ს.

პოპოვი ბ. ა. ყურის, ყელის და ცხვირის, ყოველ დღე, გარდა პარ. 2—$2^{1}/_{2}$ ს.

რცხილაძე ნ. კბილ. ყოველ დღე 9—11.

სობოლევსკი გ. ვ. ქირურგ. ყოველ დღე 9—11 ს.

თიკანაძე ი. ე. დედაკაც. საბებიო. ყოველ დღე 1—2 ს.

ფედოროვი ე. გ. მიკრ. ქიმ.-ბაქტ. გამოკვლევა. (100—6—19)

ვოგზლის კერძო სამკურნალო

ღიაა ყოველდღე მოსიარულე ავათმყოფთათვის. ვოგზლის ქ., № 8; ს. ენფიანჯიანცისა (ტელეფონი 695).

ექ. ს. ვაშაყმაძე კბილის ავათმყ. ყოველ დღე 9—10 ს.

ექ. ი. გომართელი ყოველ დღე 2—3 ს.; შინაგან და ბავშვ ავათმყ.

ექ. ა. ნ. დიასამიძე: ყოველ დღე $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$ ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავათმყ.

ექ. ნ. მ. მელიქიშვილი: ყოველ დღე; 1—2 ს.; დედათა და ქირურგ. ავათმყ.

ექ. ბ. ა. პოპოვი: ყოველ დღე, გარდა კვირისა 12—1 ს.; ყელის, ცხვირის და ყურის ავათმყ.

ექ. ვ. ს. მუსხელიშვილი: სამშაბათს ხუთშაბ. და შაბათს 2—$2^{1}/_{2}$ ს.; თვალის ავათმყოფ.

ექ. ე. გ. ფედოროვი: ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირ. 11—12 ს. შინაგანი და ბავშვ.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათ გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის 50 კაპ., ოპერაციები და კონსულტაცია მორიგებით.

(100—19)

ქართული თეატრი

შაბათს, 24 ოქტომბერს, 1909 წ. გაიმართება საჯარო ლექცია ქართულად **გრიგოლ რობაქიძისა** შემდეგ თემაზე:

სულიერი დრამა ნიკოლოზ ბარათაშვილისა

ლექციის დაწყების წინ ბ. ივ. გომართელი წაიკითხავს ბარათაშვილის მოკლე ბიოგრაფია-დახასიათებას, ხოლო თავ. ნ. ერისთავი, წარმოსთქვამს პოეტის რამდენიმე ლექსს.

დაწვრილებით პროგრამაში. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. დასაწყისი საღამოს 8 საათ.

ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

შაბათს, 24 ოქტომბერს 1909 წ. სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველ სექციისაგან წარმოდგენილ იქნება:

ტარტიუფი

კომ. 5 მოქმ. მოლიერისა, თარგმ. ივ. მაჭავარიანისა.

წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებს სექციასთან არსებული სცენის მოყვარეთა მთელი დასი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ადგილების ფასი ერთი შაურიდან ათ შაურამდე.

ანონსი: შემდეგი ქართული წარმოდგენა გაიმართება კვირა საღამოს, ნოემბერს. მზადდება წარმოსადგენათ «ღალატი» სუმბათაშვილისა; «რაც გინახავს, ვეღარ ნახავ» ა. ცაგარლისა და სხვა.

დაბეჯითებითა ვსთხოვთ საზოგადოებას სხვის ადგილზე ნუ დასხდებიან. პატარა ბავშვების თეატრში შეშვება სრულიად აკრძალულია. წესიერების დაცვაში, იმედია, თვით საზოგადოება დაგვეხმარება.

რეჟისორი **შათირიშვილი.** ადმინისტრატორი **სვირელი.**

ქართული ავლაბრის თეატრი **წარმოდგენა № 5**

შაბათს, 24 ოქტომბერს 1909 წ. ქართულ სცენის მოყვარეთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება:

მელანიას ოინები

კომედია 4 მოქ. გად კ. მესხისა.

მონაწილეობას იღებან: ქ-ნნი რჩეულოვი, მარგველაშვილი, კავთელი; ბ-ნნი სალაყაია, ჯიბლაძე, ქიზიყელი, გელიკურაშვილი, გომელაური, ბალაშვილი, ფირუმიანი, მესხიძე, მაისურაძე, მირველოვი, რევაზოვი, გოჩიტაშვილი და სხვ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ✦ **ადგილების ფასები** 10 კ.—დან 80 კ.—მდე.

უმორჩილესათ ვსთხოვთ საზოგადოებას, რომ თვით დაგვეხმაროს წესიერების დაცვაში, სხვის ადგილზე ნურავინ დაჯდება, პატარა ბავშვებს თეატრში ნუ შემოიყვანენ და თეატრში სტვენა და ყურ-ზაური აკრძალულია, წინააღმდეგ შემთხვევაში თეატრიდან გაყვანილი იქნება.

დირექცია **ამო-ხარაზიანი.**

თფილისის სახაზინო თეატრი

საოპერო ამხ. ანტონ ეიხენვალდის. დღეს ქ. ბიზეს ოპ. 3 მოქმ.

მარგალიტის მაძიებელნი

მუსიკალური დადგმა ანტ. ეიხენვალდის. მონაწილეობენ: ქ-ნნი დე-ვოს-სობოლევა; ბ-ნნი ბარსოვი, კორჩმარევი, სოკოლსკი. 2) არმენ ოგანიანის და ელენა ოსოვსკაიას მონაწილეობით **ბალეტის დივერტისმენტი,** რომელნიც შეასრულებენ: a) dalse de sabaméc, მუს. სალატოვის. b) ტახიტა; c) ნეგრის ქორწილი, ხუმრობა 1 მოქმ.

ფასები ჩვეულებრივია **დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

ხვალ რუდჟიერო ლეონ კოვილდოს «**ზაზა**“. კვირას, 25 ოქტომბერს დილის წარმოდგენა. ძლიერ დაკლებულ ფასებში „სევილიელი დალაქი“; 2) „კოპპელია-ბალეტი“ (მეორე მოქმედებ.); საღამოს მეორეჯერ „**კამორრა**“. მზადდება წარმოსადგენათ დჟიაკომო პუჩჩინის M-me **ბატტერფლეი.** (0—15)

იაფათ

იყიდება **ს. ნიგოითში** (გურიაში) რკინის გზის სადგურის ახლო საუცხოვოთ მორთულ-მოწყობილი სამოსახლო: დიდი ეზო, 5 ოთახიანი ოდა—სახლი, დიდი სამზარეულო სახლი, 2 ბეღელი, 2 სასიმინდე კარგათ მოწყობილი წისქვილი, წყლის ჩამური და სხვა საოჯახო შენობები. ეზოში დარგულია სხვა და სხვა კარგი ჯიშის ხეხილები. აღმოსავლეთით აკრავს 15 ქცევიანი მთა-ადგილი, ვენახით და ხეხილებით გაშენებული, კარგი ჰაერით და სახნავ-სათესით. სამი მხრიდან ჩაუვლის ფართე საურმე შარა-გზა.

პირობების გაგება შეიძლება ს. ნიგოითში მღვდელ ე. კალანდარიშვილთან და თფილისში, „მომავალის“ რედაქციაში ს. კ—ან. 0—თ—14

თფილისის წვრილ-ვაჭართა პროფესიონალური საზოგადოების

მთავარი კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ წარსული წლის მიხედვით, წელსაც დანიშნულია ერთი დღე 23 **ოქტომბერი**—როდესაც საზოგადოების წევრნი—ვაჭარნი **მთელი თავისი ნავაჭრიდან წილს გადასდებენ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოთ.** ამიტომ მთავარი კომიტეტი სთხოვს ქალაქის მცხოვრებთ კეთილ ინებონ და 23 **ოქტომბერს იმ ვაჭრებთან ივაჭრონ,** რომელთა სია ცალკე იქნება ამ დღეებში დაბეჭდილი. (0—7)

ბათუმში

გაზეთ „მომავალ“-ზე ხელის მოწერა მიიღება რკინის გზის შკაფის გამგე

გიორგი მახარამესთან.

იგივე მიიღებს სხვადასხვა განცხადებებს გაზეთ „მომავალ“-ში დასაბეჭდათ.

(10—4)

კბილის ექიმი

ს. ვაშაყმაძე

ავათმყოფებს ღებულობს **ახალ** ბინაზე დილით: 9—2 საათ. საღამოს: 5—7 საათ. ვერის დაღმართი, სახლი № 15.

სამშაბათს ამა ოქტომბრის 27-ს

ქართულ თეატრში

წერა-კითხ. გამავრცელებელ საზოგ. მიერ

გაიმართება

ი. ჭავჭავაძის საღამო.

1 განყოფილება: სქესი, სიყვარული და „განდეგილი“, ლექცია გრ. რობაქისისა.

2 განყოფილება: კონცერტი ნ. გაბუნია-ცაგარლის, **ვანო სარაჯიშვილის** ი. ბარათაშვილის და სხ. მონაწილეობით.

3 განყოფილება: ცხოველი სურათები **ილიას თხზულებიდან.** (დედა და შვილი, გაზაფხული, აჩრდილი, გუთნის დედა, კაკო, დიმ. თავდადებული)

დეკლამაციით.

ანტრაქტებში დაუკრავს საზანდარი,

4—1

გამოცდილი მასწავლებელი.

ამზადებს და წვრთნის მოწაფეებს ყველა სასწავლებლებისათვის.

იკითხეთ „მომავალის“ რედაქციაში, რუსის ქუჩა **№ 3.** (0—1)

კბილის ექიმი

ი. შ. ჭანტურია

იღებს ავათმყოფებს დილით 8—9 ს. საღამოთი 3—7 ს.

კვირა-უქმე დღეს 9—1 საათ. ავჭალის **№** 71 (კიროჩნი ქუჩის ახლოს).

პრესა

17 ოქტომბერს შესრულდა 20 წელი მას შემდეგ, რაც ნ. გ. ჩერნიშევსკი გარდაიცვალა. „რუს. ვედ.“ სწერს:

რამდენიმე წლების განმავლობაში რუსეთის ახალგაზრდა ინტელიგენციის რაზმს თანდათან სტაცებდენ საუკეთესო ძალებს; ასეთი მძიმე, მუხთალი ბედი ეწია ერთ უნიჭიერეს და შესანიშნავი ჭკუის პატრონს ნ. გ. ჩერნიშევსკის. გაუკეთესდა თუ არა ეხლა ამ მხრით რუსეთის მდგომარეობა? ამაზე ორი პასუხის მიცემა შეუძლებელია: ეხლაც, ვიგონებთ რა იმას, რაც ჩერნიშევსკის გადახდა, ნორმალურათ, ჩვეულებრივათ მიგვაჩნია ის და გვგონია, თითქოს ის არ იყო არაჩვეულებრივი რამ. ჩერნიშევსკი მოსტაცეს ტოლ-ამხანაგებს, მოაშორეს მეცნიერებას და ლიტერატურას იმ დროს, როცა ის სიცოცხლით სავსე მოქმედებდა.

იმ დროს, როცა მის ზევიდან დამოკლის ხმალი მხოლოდ ეკიდა და არ დასცემოდა, მან ბევრის შექმნა მოასწრო. მან არა თუ გვაჩვენა რა დიდ ძალას წარმოადგენდა, არამედ—რუსეთის საზოგადოებრივი აზრიც წინ წასწია; როგორც პუბლიცისტმა და განსწავლულმა ეკონომისტმა, გამოიწვია ინტერესი საზოგადოებრივ კითხვებისადმი, აიძულა სხვებიც ემუშავნათ იმ გზით, რაზედაც მან მიუთითა. აზრთა მუშაობის გამოფხიზლება გამოიწვია აგრეთვე თავისი შეცდომებით და გატაცებებითაც კი. ნორმალურ პირობებში რომ ემუშავნა მას, ეჭვს გარეშე, ის მსოფლიოს სწავლულთა შორის საპატიო ადგილს დაიჭერდა. ჩერნიშევსკის გარდაცვალების 20 წლის თავზე ისინი, ვინც აფასებს გარდაცვალებულის მოღვაწეობას და ამაგს შეერთდებიან ერთი სურვილით: შექმნან უფლებრივი ცხოვრების პირობები, მოსპონ თვითნებობა და „უსმოტრენიები“. ამის შემდეგ ისეთი პირები, როგორიც იყო ჩერნიშევსკი, მოიპოვებენ რუსეთში ნიადაგს თავისი ძალების განვითარებისას.

* * *

დიდათ აღუშფოთებია „ნოვოე ვრემია“ სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მიერ სახელმწიფო დუმაში შეტანილ შეკითხვას, რომელიც გამოწვეულია ძირითადი კანონების მე-96 მუხლის მთავრობის მიერ განმარტების გამო. ის სწერს:

ისმინეთ მემარცხენეთა მცირე ჯგუფო! თუ თქვენ შეკითხვა შემოგაქვთ „სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის“ სახელით, იმის მიღება არსებითათ არ შეიძლება, ვინაიდან ის გამომდინარეობს მთავრობის საწინააღმდეგო საზოგადოებისაგან. კანონმა იცის სოციალ-დემოკრატია, როგორც სახელმწიფოებრივობის და საზოგადოებრივობის წინააღმდეგ შეთქმულობის პარტია, რომელსაც მთავრობა უნდა ყოველივე სასტიკი ზომებით ებრძოლოს. თქვენი (ს. დ.) პარტია ამბოხების მომხდენი პარტიაა და მხოლოდ ჩვენს სიზარმაცეს და ლიბერალურ გულკეთილობას მიეწერება ის, რომ ასე თავხედათ უწოდებთ თავს რევოლიუციონერებს და იმასაც სად!.. საკანონმდებლო პალატაში! ჩვენ გვესმის ყველა ეს და მოვალე ვიყავით ყველანი თქვენ დაგვეპატიმრებინეთ, როგორც ტახტის და კანონის აშკარა მტრები, მარა ჩვენ თავს ისე გაჩვენებთ თითქოს ყველა თქვენი მოქმედება „არაფერი“, „უბრალო რამ“ (ПУСТЯКИ) და თქვენი ცრუ მოსახელეობა (САМОЗВАНСТВО) იყოს...

ასე რომ, „ნოვ. ვრ.“ „სიზარმაცემ“ და „ლიბერალურმა გულკეთილობამ“ ს. დ. ფრაქცია განსაცდელისაგან იხსნა. თუ ასეა, მეტი რა გვეთქმის: „ზოგი ჭირი მარგებელია“.

დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

22 ოქტომბერი.

სპარსეთი.

ეფრემის გალაშქრება.

თეირანი. პოლიცმეისტერმა ეფრემმა არდებილისკენ გაილაშქრა, რომ შახსევანები განდევნოს.

საზღვარ-გარეთ

ნეგუს მენელიკი.

ადდის აბება. ნეგუს მენელიკი სიკვდილის პირზეა.

ნეგუსის პროკლამაცია.

ადდის-აბება. რადგან ნეგუს მენელიკს მორჩენის იმედი აღარ აქვს, პროკლამაცია გამოსცა, რომლითაც მოუწოდებს ხალხს მხარი დაუჭირონ მის მიერ დანიშნულ მემკვიდრეს ლიდჟასუს და სხვა მემკვიდრე არავინ ისურვონ.

ენების შესახებ კანონ-პროექტი

ვენა. იმპერატორ ფრანც-იოსებმა დაამტკიცა ენების შესახებ კანონ-პროექტი ავსტრიის, ზილცბურგის და ფორალბერგის ზედა და ქვედა პალატების მიერ მიღებული.

ვენა. სეიმის და რეიხსტაგის დეპუტატებისაგან შემდგარმა სახალხო საბჭომ ჩეხიის ხალხის სახელით დეპეშით მიმართა იმპერატორს და სთხოვა ნუ დაამტკიცებს ნემცების სეიმის მიერ მიღებულ ენათა შესახებ კანონს, რადგან ეს შეურაცხყოფას აყენებს ჩეხიის ხალხს და მიზეზს აძლევს სატახტო ქალაქში ნაციონალურ ბრძოლის გასამწვავებლათ. ვენის გაზეთები სიხარულით მიეგებენ ამ კანონის უმაღლეს სანქციას ჩეხელების პროტესტის წინააღმდეგ.

ვენა. „ნოიე-ფრაი-პრესე“ ენების კანონის საჩქაროთ დამტკიცებაში ხედავს მონარქის სულისკვეთებას, რომ ის არ თანაუგრძნობს ჩეხელებს.

მუნიციპალიტეტის არჩევნები.

ლონდონი. ლონდონში და პროვინციებში მუნიციპალურ არჩევნებში ყველგან ს.-დემოკრატები დამარცხდენ.

ნიუ-იორკი. წინასწარ არჩევნებში გაიმარჯვეს „ტამანი გოლლი“-ს ორგანიზაციის კანდიდატებმა.

ნიუ-იორკი. როგორც საბოლოოთ გამოირკვა, დემოკრატიული პარტია „ტამმანი გოლლი“ დამარცხდა მუნიციპალურ არჩევნებში.

რუსეთის შესასწავლი სკოლა.

ლივერპული. ლივერპულში რუსეთის შესასწავლ სკოლის დამაარსებელთა საორგანიზაციო კრებაზე ლივერპულის ლორდმერმა სთქვა, რომ რუსეთი მომწიფდა სამრეწველო განვითარებისთვის. ინგლისმა კი არაფერი არ იცის რუსეთის ხელსაყრელ პირობების შესახებ. სკოლა ამ მხრით დიდ სარგებლობას მოუტანს ინგლისს. რუსეთის ელჩმა მოიწონა დაარსების მიზანი.

„ტაიმსი“ რუსეთის ჯარის გაგზავნის შესახებ არდებილში.

ლონდონი. გაზეთი „ტაიმსი“ რუსეთის მიერ არდებილში ჯარის გაგზავნის შესახებ ამბობს, რომ რუსეთის კეთილსინდისიერი მოქმედება სპარსეთის საქმეებში ყველა ინგლისელმა საკეთილოთ უნდა ახსნას რუსეთის მიერ, თავის ქვეშევრდომთა დასაცველათ გადადგმული ნაბიჯი.

მინისტრ-პრეზიდენტის სიტყვა.

კოპენჰაგენი. მინისტრ-პრეზიდენტმა ცალემ ფოლკსტინგში საპროგრამო სიტყვა წარმოსთქვა, რომლითაც განაცხა-

და, რომ მთავრობა უპირველეს ყოვლისა ეცდება ალბერტის საქმეთა ლიკვიდაციას, მაგრამ თვითონ კი არ იკისრებს ალბერტის და სხვა მინისტრების სამართალში მიცემას, ამის გადაწყვეტას ფოლკსტინგს ანდობს; მთავრობა შეიმუშავებს კანონ-პროექტებს რა პირობებში შეუძლიათ მოხელეებს დაიჭირონ კერძო თანამდებობანი და რა პირობებში მიეცემათ ნება პარლამენტის წევრთ დაიჭირონ ჯამაგირიანი ადგილები სახელმწიფო სამსახურში. მთავრობა წინადადებას შემოიტანს საარჩევნო ოლქების ახლად დაყოფის შესახებ. სახელმწიფოს დაცვის შესახებ მიღებულ კანონებს განახორციელებენ, რისთვისაც გადასახადებს არ მოუმატებენ. თუ ფოლკსტინგში უმრავლესობა მთავრობის წინააღმდეგ წავიდა, ხელ-ახალ არჩევნებს მოახდენენ.

მიწის ძვრა.

რედჟიო-დი-კალაბრია. საღამოს 4 საათსა და 25 წუთზე მოხდა ძლიერი მიწის ძვრა.

რუსეთი

სასამართლო.

პეტერბურგი. სენატმა უყურადღებოთ დასტოვა ნოვო-ალექსანდროვის ინსტიტუტის პროფესორ ლანგეს, სტუდენტ აიზენბურგის და კიევის პროფესორ ვაგნერის ცოლის საკასაციო საჩივარი, რომელთაც ვარშავის სამოსამართლო პალატის მიერ 129 სტ. ძალით ერთი წლის ციხე ქონდათ გადაწყვეტილი.

ოსტროგოჟსკი. ხარკოვის სამოსამართლო პალატამ განიხილა შვიდი გლეხის საქმე, რომელნიც ს.-რევოლიუციონერთა პარტიას ეკუთვნოდენ და 1907 წელს მღვდლის სახლი ააფეთქეს. პალატამ გადაუწყვიტა ერთს ექვსი წლის კატორღა, ერთს გადასახლება, ერთს ხუთი წლით ტუსაღთა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა, მეოთხეს რვა თვის ციხე, ხოლო სამი გაამართლა.

ტურისტი.

ლოძი მოვიდა ტურისტი ფრანკარლი, რომელიც მთელი ქვეყნის მოვლას აპირებს ავტომობილით.

მკვლელობა.

არხანგელსკი. ვერკოლსკის მონასტერში მხეცურათ მოკლეს ბერ-მონაზონი ტიხონი 67 წლისა. მკვლელობას იეროდიაკონს დოსიფეის აბრალებენ.

ცნობის გაბათილება.

სტავროპოლი. ოფიციალურათ უარს ყოფენ გაზეთებში მოთავსებულ ცნობას თითქო ყოფილ მოხელე მილეევიჩს სტავროპოლის გუბერნატორი დუელში გამოეწვიოს და ამ მიზეზით გაედევნოს ის გუბერნიიდან. ნამდვილათ კი მილეევიჩი გააძევეს გუბერნიიდან, როგორც წესიერების დამრღვევი.

ხოლერა.

ვილნო. 20 ოქტომბრამდე ავათ გახ და 13, მოკვდა 4. ეხლა ავათ არის 6.

სიმფეროპოლი. სიმფეროპოლის მაზრის სოფელ ტიზე-ჯიდჟალში ხოლერით მოკვდა იალტიდან მოსული გლეხი.

უკანასკნელი ფოსტა

რუსეთი.

მუშების დეპუტაცია. პეტერბურგში ჩავიდა ურალის ქარხნების მუშათა დეპუტაცია. დეპუტაცია დეპუტატ ეგოროვთან ერთად სტოლიპინს ინახულებს. დეპუტაცია მინისტრს მოხსენებას გადასცემს ურალის მუშების მდგომარეობის შესახებ.

რევიზია. სატახტო გაზეთების სიტყვით სახალხო განათლების მინისტრს ოდესის მზრუნველებისათვის მიწერილობა დაუგზავნია ადგილობრივ საშუალო სასწავლებლებში რევიზიის მოხდენის შესახებ. რევიზიის ოქმები სამინისტროში უნდა გაიგზავნოს არა უგვიანეს 1 იანვრისა (1910 წ.). მინისტრი წინადადებას იძლევა რევიზიის დროს გამოიკვლიონ მოსწავლეთა მდგომარეობაც.

შეკითხვა. დუმის კულუარებში ხმა გავრცელდა, რომ ოქტომბრისტებმა რამდენიმე ხნით გადასდვეს დუმბაძის შესახებ დუმაში შეკითხვის შეტანა. ამის გამო სოც.-დემოკრატების და მშრომელთა ჯგუფის ფრაქციები მახლობელ სხდომაზე განიხილავენ საკითხს, რომ ეს შეკითხვა რაც შეიძლება დააჩქარონ.

მემარჯვენენი. 17 ოქტომბერს მემარჯვენე პარტიების წარმომადგენელთა თათბირი მოხდა პურიშკევიჩის თავმჯდომარეობით. პურიშკევიჩის წინადადებით კრებამ დაადგინა: 1. წარადგინონ სინოდში თხოვნა ას მართლმადიდებელ მღვდლისაგან ხელმოწერილი და პროტესტი განაცხადონ მთავრობის კანონ-პროექტის შესახებ (კანონ-პროექტი ეხება „სტაროობრიადცებს“ და „სექტანტებს“); 2) შეადგინონ სრული სია იმ ტერორისტული აქტებისა, რომელიც რევოლიუციონურმა ორგანიზაციებმა მოახდინეს 1905-დან 1909 წლამდე და 3. დააჩქარონ შეკითხვის შეტანა გერცენშტეინის საქმის შესახებ.

მემარჯვენენი და დაშნაკცუტიუნი. დაშნაკცუტიუნის მიერ ვარშავის სიეზდზე მონაწილეობის მიღება, მემარჯვენეთა აზრით, ნათლად მოწმობს სომხების ლტოლვილებას, რომ რუსეთს გამოეყონ და დამოუკიდებელი სახელმწიფო დაარსონ. ამიტომ მემარჯვენენი დაშნაკცუტიუნის მოქმედებას ამ ჟამათ დიდ ყურადღებას აქცევენ და ახლო მომავალში შეკითხვის შეტანასაც აპირობენ დუმაში ამავე პარტიის შესახებ.

სტუდენტები პასუხის გებაში. სახალხო განათლების მინისტრმა პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს წინადადება მისცა „დისციპლინარულ“ სასამართლოში მისცეს ის სტუდენტები, რომლებმაც ფერერის სიკვდილით დასჯის გამო გამართულ კრებაზე მონაწილეობა მიიღეს და საპროტესტო რეზოლიუციას ხელი მოაწერეს. სტუდენტების გასამართლება პროფესორთა საბჭოს ეძნელება, ვინაიდან რეზოლიუციაზე მხოლოდ პრეზიდიუმის წევრებს—სამ სტუდენტს უწერია ხელი, დანარჩენების ვინაობა კი არ იციან. სტუდენტებს გადაუწყვეტიათ, თუ პრეზიდიუმი პასუხის გებაში მისცეს, ყველანი გამოცხადდენ სასამართლოში.

დეპუტატის გაკიცხვა. პერმის საეპარქიო სიეზდმა ეპისკოპოსის მოთხოვნილებით გაკიცხვა გამოუცხადა მღვდელ-დეპუტატს ისპოლიტოვს.

„განათლების“ დახურვა. რამოდენიმე დღის წინათ არსებობა შესწყვიტა ალექსანდრენეველის რაიონის საზოგადოება „განათლება“-მ. ამ საზოგადოებას 600-მდე წევრი ჰყავდა, უმთავრესათ მუშები, ქონდა სამკითხველო, წიგნთსაცავი, აწყობდა ლექციებს და სხვა. საზოგადოების დახურვის მიზეზი იყო პოლიციის მხრით მუდმივი შევიწროება, რომელიც გამოიხატებოდა ხშირ გაჩხრეკაში და სხვა. საზოგადოების წევრები ისე დააშინა პოლიციის ხშირმა სტუმრობამ, რომ ბოლოს კრებებზე სულ აღარ ესწრებოდენ.

გაფიცვის გამო. პეტერბურგში ზაფხულში ტრამვაის მოსამსახურეთა გაფიცვა მოხდა. გაფიცულთა ადგილი პოლიტეხნიკუმის და ელექტრო-ტეხნიკურ ინსტიტუტის სტუდენტებმა დაიჭირეს. ელექტრო-ტეხნიკურ ინსტიტუტის შრომის ბიურომ ამ შემთხვევის გამო მსჯელობა იქონია და „შტრეიკბეხერი“ ამხანაგები თავიანთ წრიდან გარიცხეს.

საერობო უფროსის კამერაში. ოსტროვსკის მაზრის საერობო უფროსის კამერაში საქმე ირჩეოდა. მოწმეებათ იყო გამოწვეული ორი ახალგაზდა გლეხი. პირველი მოწამე კამერაში ახალი ჩექმებით მივიდა. საერობო უფროსი ეკითხება: გადასახადი გაისტუმრეთ? მოწმემ გადაჭრილი პასუხი ვერ მისცა, მხოლოდ განაცხადა: მამაჩემს ეცოდინებაო. უფროსმა იქვე მდგომ პოლიციელს უბრძანა: გააძვრეთ ჩექმებიო! გლეხს ჩექმები გააძვრეს და შიშველი ფეხებით გაისტუმრეს სახლში. ასევე მოექცენ მის მეორე ამხანაგსაც.

საზღვარ-გარეთ

მოსალოდნელი ომი. ნიუიორკში მიღებული ცნობებით ნიკარაგუას და სალვადორის რესპუბლიკებს შორის ომი აუცილებელია. სამხედრო მზადება უკვე დაიწყეს. ომის მიზეზათ ასახელებენ დასახელებულ რესპუბლიკების პრეზიდენტთა შორის ჩამოვარდნილ მტრულ განწყობილებას. მოსალოდნელ ომმა უფრო ფართო ხასიათი მიიღოს, ვინაიდან საქმეში ჩარევას აპირებენ გვატემალი და მონდურასა.

საყურადღებო სტატისტიკა. პარიზში ამ ჟამათ 3791 ჟურნალი გამოდის, საფრანგეთის პროვინციებში—5189 და ახალშენები—326, ყველა პერიოდულ გამოცემათა რიცხვი უდრის 9306-ს. აქედან ყოველდღიური 3489.

60 წლის წინათ ძალიან გავრცელებული გაზეთებიც კი, სიდიდით „ცხვირსახოცს“ არ აღემატებოდა, ახლა ეს „ცხვირსახოცები“ „ზეწრებსაც“ კი აჭარბებენ სიდიდით. ამერიკას წინ გაუსწრია საფრანგეთისათვის. იქ იბეჭდება 14,917 გაზეთ-ჟურნალი, რომლიდანაც ნახევარზე მეტი ყოველდღიურია. ერთი ამ ყოველდღიური გაზეთთაგანი „Dail and Nev ork Press“ შეიცავს 60 გვერდს და დღე-ღამეში ორჯერ გამოდის.

შვეციის მუშები. ლოკაუტისა და იმ მტრული განწყობილების გამო, რომელიც მუშებსა დნ კაპიტალისტებს შორის არის გამეფებული ამ ჟამათ, მეფემ მიიწვია კაპიტალისტთა კავშირის დირექტორი სიდოვი და მუშათა პროფესიონალურ კავშირების წარმომადგენელი ლინდკვისტი. მეფემ დაბეჯითებით სთხოვა მათ როგორმე მორიგებულიყვენ.

გარკარგულება. ისპანიის ახალმა მინისტრ-პრეზიდენტმა მორეტმა განკარგულება მოახდინა, რომ სამხედრო სასამართლოებმა მოქმედება შესწყვიტონ და დამნაშავენი ჩვეულებრივ სასამართლოს წესით იქნენ გასამართლებულნი.

გერმანიის სოც. დემოკრატების გამარჯვება.

გერმანიის სოციალდემოკრატიას საკმარისი საბუთი აქვს იამაყოს თავისი პარტიით. იმ ბრწყინვალე გამარჯვებამ, რომელიც სოც. დემოკრატიამ უკანასკნელ არჩევნებზე მოიპოვა, ყოველ მოლოდინს გადააჭარბა. გერმანიის იმპერიის ორ სახელმწიფოში, საქსონიის სამეფოში და ბადენის საგერცოგოში პარლამენტის საერთო არჩევნები მოხდა. საქსონიაში ახალი საარჩევნო კანონის ძალით, დეპუტატთა რიცხვი 82-დან 91-მდი იქნა გადიდებული. ამ რიცხვიდან უკვე არჩეულია 34 დეპუტატი—14 კონსერვატორი, 4 ნაციონალ-ლიბერალი და 16 სოციალ-დემოკრატი. 57 ალაგას ხელახალი კენჭის ყრა („პერებალატიროვკა“) მოხდება, რომელთაგან 53-ში სოციალდემოკრატები ღებულობენ მონაწილეობას. ბადენში საქმის მდგომარეობა ასეთია: 1905 წელს სოციალდემოკრატიამ მხოლოდ სამი (3) დეპუტატის გაყვანა შესძლო, ახლა კი მან ათი (10) დეპუტატი გაიყვანა. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს სოციალ-დემოკრატ დეპუტატებისათვის მიცემული ხმები ქალაქებში. აქ სოციალდემოკრატების ამრჩეველთა რიცხვი ისე ძალიან გაზრდილა, რომ სოციალდემოკრატიული კანდიდატები 29 „პერებალატიროვკაში“, იღებენ მონაწილეობას და გამარჯვების იმედიც აქვთ. ამას ზედ დაერთო კიდევ სოციალდემოკრატების გამარჯვება რეიხსტაგის დამატებით არჩევნებზე კობურგში. აქ სოციალდემოკრატების კანდიდატმა 6,843 ხმა მიიღო, ნაციონალ-ლიბერალების კანდიდატმა კი—6,290 ხმა. საქსონიის და ბადენის არჩევნები ნათლათ მოწმობენ კონსერვატორების სრულ განადგურებას და სხვადასხვა ჯურის ლიბერალების სასტიკ დამარცხებას. საქსონიის დეპუტატთა პალატაში აქამდე 46 კონსერვატორი იყო. ახალ არჩევნებზე მათ მხოლოდ 14 დეპუტატი-ღა გაიყვანეს და ეს რიცხვი შეიძლება ორი ან სამი დეპუტატით გაიზარდოს „პერებალატიროვკების“ შემდეგ. ასე რომ, კონსერვატორებმა 46-იდან 30 ადგილი დაკარგეს. არც ნაციონალ-ლიბერალებს დაყრიათ ხეირი—31 ადგილიდან მათ მხოლოდ 4 ადგილი შეინარჩუნეს. განთავისუფლებული ადგილები სოციალ-დემოკრატებს დარჩათ.

ბადენის საარჩევნო ციფრებიც თითქმის ამასვე მოწმობენ. თუ 1905 წ. და ახლანდელ არჩევნებს შევადარებთ, შემდეგს დავინახავთ: ცენტრს 28 ადგილიდან მხოლოდ 21 შეუნარჩუნებია, ლიბერალებს—17 ადგილიდან მარტო 5 ადგილი შერჩენიათ. აქაც, ცენტრისაგან და ლიბერალებისაგან დაკარგული ადგილები სოციალდემოკრატიამ დაიჭირა. კობურგის გამარჯვებაზე ხომ ლაპარაკიც მეტია. ეს ნაციონალ-ლიბერილების სიმაგრე დღეს სოციალდემოკრატების სრულ მფლობელობაშია.

სოციალდემოკრატების ასეთი ბრწყინვალე გამარჯვება სხვათა შორის უნდა მიეწეროს იმ გონიერ ტაქტიკას, რომელსაც ს. დ. ფრაქცია ადგა საფინანსო რეფორმის გატარების დროს. გაზეთ „ბერლინერ ტაგებლატმა“ ზაფხულში დასტამბა ზოგი ადგილები იმ წერილებიდან, რომელიც გაზეთის რედაქციამ საფინანსო რეფორმის გამო მიიღო „გერმანელ დიასახლისებისაგან“. ერთი გაბრაზებული დიასახლისი პირდაპირ სწერდა: «ჩემს მეუღლეს, მისი უდიდებულესობის ჯარის-კაცს, დღეიდან ვურჩევ და კატეგორიულადაც მოვსთხოვ, რომ მხოლოდ „წითლებს“ მისცეს თავისი ხმა‘‘. სოციალდემოკრატების გამარჯვებას მოელოდა კონსერვატიულ-ლიბერალური ბლოკის მამა, ბიულოვი, როცა სამსახურიდან გადადგომის დროს კონსერვატორებს ,,წითელი საფრთხის“ სახელით დაემუქრა.

სოციალდემოკრატების სამაგალითო გამარჯვება აშკარათ მოწმობს იმ ოპოზიციონურ სულის კვეთებას, რომელიც დღეს გერმანელ ამრჩევლებს ახასიათებს. ეჭვი არაა, მთავრობაც არ დააგვიანებს საჭირო ზომების მიღებას სოციალ-დემოკრატიულ „საფრთხესთან“ საბრძოლველათ. ლიბერალები, როგორც ეს მათ მუდამ სჩვევიათ, უკუღმა ახსნიან სოც. დემოკრატიის გამარჯვებას და, მიუხედავათ ამრჩევლების ოპოზიციონური სულიერი განწყობილებისა, მარჯვნივ დაიწყებენ ჩოჩვას. ერთათ-ერთი სოციალ-დემოკრატია დააფასებს თავის გამარჯვებას სისწორით. ეს გამარჯვება თავდაპირველათ დამარცხებაა კონსერვატორების და ყველა ჯურის და მოდგმის ლიბერალიზმის. გარდა ამისა, ეს გამარჯვება—გამარჯვებაა პარტიის რადიკალური ნაწილის, რომელიც დღეს პარტიის ოფიციალურ ხელმძღვანელათ ითვლება და დრეზდენის ტაქტიკას მტკიცეთ ატარებს ცხოვრებაში.

ახალი ამბები

✦ **მოვაგონებთ მკითხველებს,** რომ დღეს, 23 ოქტომბერს, თფილისის ვაჭრები თავის ნავაჭრის წილს სწირავენ „ქ.

შეთანხმებაც ასეთი უნდა!

გაგრძელება *)

ბ. ჯორჯაძეს მოჰყავს რა ჩვენ სიტყვები იმის შესახებ, რომ ეს-დეკების თვითმართველობა „სავსებით დაფუძნებულია საიმპერიო-სახელმწიფურ, მოქალაქობრივ კანონებზე“,—დაასკვნის, რომ ჩვენ ავხადეთ ღირსება „თვითმომქმედ ერს“ და მისი მოვალეობა მხოლოდ ცენტრის მიერ შექმნილ კანონების ასრულებაში დავინახეთ. ჩვენ ცოტა ქვევით დავინახავთ, რა აზრითაა აქ „სახელმწიფური და მოქალაქობრივი“ ნახმარი, ახლა კი ის დავიმახსოვროთ, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოში ცენტრის მიერ გამოცემული კანონები უნდა სრულდებოდენ მხოლოდ და მარტო ადგილობრივ დაწესებულებათა და მოხელეთა მიერ. ამ მხრივ ეს-ფეთა ავტონომიასა და ეს-დეკების თვითმართველობას შორის არავითარი განსხვავება არაა. მაგრამ ბ. ჯორჯაძე პირში წყალს იგუბებს და არ უმხელს მისგან „შელახულ“ მკითხველს მოყვანილ ციტატის ბოლოს, სადაც, სხვათა შორის, ნათქვამია: „აგრეთვე ადგენს (თვითმართველობა) სეპარატიულ კანონებს და წესებს“. ხაზგასმული სიტყვა ასე იყო სწორეთ ჩვენს დედანშიაც და ხმარებულია ადგილობრივის აზრით, მაგრამ ჩვენი მოკამათე „ვერ ამჩნევს“ მას. მაგრამ უფრო გარკვეულათაც გვაქვს ჩვენ ეს ნათქვამი, და ისიც იქ, სადაც ამ საგანზე ლაპარაკი იყო: „ჩვენ ვიმეორებთ (სწორეთ ასეა განმეორებული თვითეული საყურადღებო აზრი, მაგრამ ეს როდი ესმის!), მარტო აღმასრულებელი ძალის სრული დემოკრატიზაცია განუზომელ ღრმა ცვლილებას მოახდენს ჩვენს სოციალურ-ეკონომიურ ვითარებაში; მაგრამ ჩვენთვის ისიც ცხადია (არის თუ არ თქვენთვის ცხადი, ბ. მოკამათევ?), რომ ფართო თვითმართველობა აგრეთვე კანონმდებელია ადგილობრივ ინტერესების მოწესრიგებაში. მაშასადამე, ვერც კანონდებაში დავინახეთ ძირითადი წინააღმდეგობა ავტონომიასა და ფართო თვითმართველობის შორის“ (იხ. „ხომლი“, 18). მასთან ჩვენ ჩამოთვლილი გვაქვს „ადგილობრივ ინტერესების“ შინაარსი, რასაკვირველია, სხარტათ. ბ. ჯორჯაძე იმდენათ ცინიანია თავის რწმუნებაში, რომ რამდენჯერმე იმეორებს ვითომდა ჩვენს მტრობას ადგილობრივ კანონდებისადმი. ბ. ჯორჯაძე ერთხელ, მაგალითად, ასე გვამკობს: „სწავლა-განათლება და ეკლესია—აი, საფუძველი საქართველოს თვითმართველობისა. ყოველი სხვა მას არ უნდა ეკითხებოდეს,—ამისათვის არსებობს საიმპერიო პარლამენტი. ამაზე შორს ქართველ ცენტრალისტ ეს-დეკთა ნატვრა ეროვნულ საკითხში დღეს არ მიდის!“ („დრ.“ 196, კურს. ჩვ.). დავარქვათ ამას ცილისწამება თუ ბ. ჯორჯაძის ჩვეულებრივი „უპარტიობა?“.

მაგრამ ამას როდი გვაკმარებს წაქეზებული მკვლევარი, ის მისჩანჩალებს კუდში ჩვ. კვალელს და უკანასკნელთან ერთათ ირწმუნება, რომ ჩვენ თურმე გზების გასაყვანადაც კი ცენტრიდან ვთხოულობთ „რაზრეშენიეს“! ჩვენ ვრცლათ მივუგეთ ამის შესახებ ჩვ. კვალელს. ჩვენ მოვიყვანეთ მაშინ „ეროვნულ კითხვაში“ ჩამოთვლილი დარგები, რომელნიც უნდა დავალებოდა, ჩვენის აზრით, ფართო თვითმართველობას, იქვე მოხსენებულია გზებიც, და დავსძენდით: „არც ერთ ამ დარგებში ჩვენ არც კი გვესიზმრებოდა ცენტრის „რაზრეშენიე“, კიდევ ვიმეორებთ ასჯერ დალექილს: ყველა ამ დარგებში კანონდება, ასრულება და მართლმსაჯულება ეკისრება ფართო თვითმართველობას და ხალხისაგან არჩეულ მოხელეთ“ („ჩვენი ხმა“ 17). თუ ამდენი „დალექვის“ შემდეგ ბ. ჯორჯაძე მაინც ვერ იგნებს გზას, რაღა გასაკვირია, თუ მისთვის ცხრა-კლიტული საიდუმლოებაა ამხანაგ ლეოსაგან კანონმდებლობისადმი მიმხრობა თვითმართველობაში. ბატონი ჯორჯაძე მზათაა „პირჯვარი გადიწეროს“, ხოლო ივიწყებს იმას, რაც თვითონვე მოიყვანა ჩვენი წერილებიდან—ეს ის, რომ ეს-დეკი, როცა საქმე პრაქტიკაზე მიდგება, უსათუოთ აკუთვნებს მის თვითმართველობას ბევრ ისეთ რამეს, რაც შედის ეს-ფეთა ავტონომიაში, ამ შემთხვევაში—კანონმდებლობას. ასე მოუვა უკუქცევით ეს-ფესაც, თუ ის წინააღმდეგ ჩვენი მოკამათისა პირჯვრის წერას კუროპატკინს დაუთმობს და თვით საგანს დააკვირდება.

ახლა ჩვენ უნდა შევეხოთ სულ მოკლეთ ტერიტორიას, რომელზედაც ასე ბევრს ლაპარაკობენ ჩვენი მოპირდაპირენი. ბ. ჯორჯაძე მხოლოდ გაკვრით ეხება ამ საგანს, მაგრამ საკმაო ნათლათ ამოწმებს, რომ მის ავტონომიის ერთ-ერთი აუცილებელი ნიშანი „განსაზღვრული ტერიტორიაა.“ ჩვენს ნაწერს ამის შესახებ მან ჩვეულებრივ არ მიაქცია ყურადღება და სწორეთ ეს მისი დაუდევრობა ჩვენ ჩაგვითვალა დებეტში. შეიძლება ეს-დეკის თვითმართველობა სულაც არ გულისხმობს ტერიტორიას?! მართალია, ის ამას არ ამბობს არსათ, მაგრამ მისი გამოკამათება ან.-თან თითქო ამართლებს ჩვენგან დაშვებულ ჰიპოტეზას. სწორეთ ან.-ი მოითხოვს, რომ ამიერ-კავკასიის კოლონიზაცია უნდა ხდებოდეს თვით ამ მხარის სეიმის ნებაყოფილობით. ბ. ჯორჯაძეს უკვირს ეს და აქედან ის დასკვნა გამოყავს, რომ ან.—ი ტერიტორიას ამიერ-კავკასიის „კუთვნილებად აცხადებსო“, რასაც იგი ავტონომიის დადასტურებათ თვლის. ან.-ს არ ქონდა კუთვნილებაზე ბაასი და არც ვიცით, რომელ კუთვნილობაზე მასლაათობს ბ. ჯორჯაძე. თუ ის ამ ტერმინში ფლობას და სარგებლობას გულისხმობს, მაშინ უეჭველია ან.-იც ამ კუთვნილების მომხრეა; ხოლო თუ ის აგრეთვე განკარგულებას გულისხმობს მასში, ასეთ უფლებას არც ეს-ფეთა ავტონომია შეიცავს: ის ვერ გაყიდის, მაგალითად, ტერიტორიას უცხოეთზე. პირველ ორ უფლების შესახებ ან.-ს ძალიან კარგათაც შეუძლია დაემყაროს საერთო პარტიის „მუნიციპალიზაციაზე.“ ჩვენ კი იმით განვსხვავდებით ან.-ისაგან, რომ ჩვენ გადაჭრით და სამუდამოთ ვსპობთ ამიერ-კავკასიის კოლონიზაციას საჯარო-უფლებრივ წესით (въ публично-правовомъ порядкѣ). შეიძლება ახლა მაინც ისმინოს ჩვენმა მოკამათემ, რომ ეს-დეკთა ფართო თვითმართველობა უსათუოთ გულისხმობს „განსაზღვრულ ტერიტორიას“ ამაში არაა განსხვავება ავტონომია თვითმართ. შორის.

არა გვგონია, რომ ბ. ჯორჯაძეს ასეთი განმარტება დასჭირდეს „ხალხზე“. ჩვენ მაინც დავამშვიდებთ მას და ვეტყვით, რომ თვითმართველობაც არ შეიძლება უხალხოთ და მისი კანონ-ბრძანებანი (სწავლა-კულტი სპეციალურათ იქნება მოწესრიგებული) ყველასთვის სავალდებულოა მის ტერიტორიალურ ფარგლებში.

ბ. ჯორჯაძე მიმართავს თავის უებარ ვექილს—ჩვ. კვალელს და გვისაყვედურებს უკანასკნელის პირით, რომ ჩვენ ავტონომია და თვითმართველობა ერთმანეთში აგვირევია, რადგან ორივეს პოლიტიკურს ვეძახით. იგი არ გვიხსნის, თუ რა არის სიტყვა „პოლიტიკური“. ხოლო ჩვ. კვალელს ჩვენ დიდი ხანია გავეცით პასუხი: თუ ავტონომიას მარტო იმიტომ დაეძახება პოლიტიკური, რომ ის კანონმდებელია, მაშინ თვითმართველობასაც იგივე დაეძახება, რადგან ის, ეს-დეკების აზრით, კანონმდებელიც უნდა იყოს, როგორც ზევით დავინახეთ. სჯობს სიტყვა-

---

*) იხ. «მომავალი“ № 46.

შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“. იმედია, სახალხო განათლების გულშემატკივარნი ივაჭრებენ იმ ვაჭრებთან, რომელთა სია ცალკე დაბეჭდილი დღევანდელ ნომერთან ურიგდება ყველა ხელის მომწერს.

✦ თფილისის ტრამვაი. 22 ოქტომბერს თფილისის ტრამვაის დირექტორმა ტრამვაის ექიმს გადასცა ბრძანება, რომელშიაც მოხსენებულია იმ პირების სახელი და გვარი, რომლებსაც ახალ პირობებში სამსახურის სურვილი განუცხადებიათ და წინადადებას აძლევს ექიმს გარდა ამ პირებისა საექიმოთ არავინ მიიღოს. ახალ პირობებში სამსახურის მსურველთა რიცხვი 35 კაცამდეა, აქედან 10—12 ძველი მოსამსახურეა (უმთავრესათ სადგურის ზედამხედველები და კონტროლიორები), დანარჩენი კი, ახლათ მიღებულები. დანარჩენი ძველი მოსამსახურეები, მიუხედავათ დირექციის ყოველდღიური მუქარისა, მაინც არ აწერენ ხელს ახალ პირობებს და დაბეჯითებით მოითხოვენ ან ძველი ხელშეკრულების თანახმათ დაჯილდოვებას, ან ახალი პირობების ცოტათ თუ ბევრათ მათდა სასარგებლოთ შეცვლა-შესწორებას.

✦ კახეთის მევენახეთა შუამდგომლობა. რადგან კახეთში ვენახებს ხშირათ აოხრებს სეტყვა და ამით ღვინის მოსავალი ერთი ორათ მცირდება, ამიტომ კახეთის მევენახეთა ერთმა ჯგუფმა თხოვნით მიმართა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს, რათა მან მოლაპარაკება გამართოს სამეურნეო იარაღებით მოვაჭრე ფირმებთან, რომ მევენახეთ იარაღების ყიდვა ფულის ნაწილ-ნაწილათ გადახდით შეეძლოთ.

✦ სახალხო განათლების მინისტრმა განმარტა, რომ გიმნაზიაში ხელ-საქმის მასწავლებელ ქალებს ჯამაგირების სამესამედო დახმარების უფლება ეძლევათ, თუ კი მათ მასწავლებლობის მოწმობა აულიათო.

✦ ქალაქის სამხედრო საკრებულოში დღემდე შეუმოწმებიათ და სამსახურში ჩაურიცხავთ 186 კაცი. გასაწვევ ჯარის კაცთა შემოწმება გრძელდება.

✦ ქალაქის გამგეობის დადგენილება. ქალაქის გამგეობამ გაარჩია წინადადება არამიანცის საავათმყოფოს მოსამსახურეთა მიმღებ საგანგებო კომისიისა და უფროს ექიმის ვალდებულების დროებით აღმასრულებლათ სასანიტარო ინსპექტორი სტეფანოვი დანიშნა.

✦ დამხმარე კომიტეტი. სურამიდან გვატყობინებენ, რომ იქ უკვე შესდგა ცეცხლისაგან დაზარალებულთათვის დამხმარე კომიტეტი.

ქალ. საბჭოს საფინანსო კომისიის სხდომა მოხდება დღეს. კომისია გაარჩევს 1910 წლ. ქალაქის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვას.

✦ წითელი ჯვრის რწმუნებული. 19 ოქტომბერს ფოთში ჩავიდა პეტერბურგის კომიტეტის, რუსეთის წითელი ჯვრის რწმუნებული ა. შტალი, რომელიც ხსენებულ საზოგადოების სასარგებლოთ შემოწირულებას კრებს.

✦ გადასახადების განაწილება. ქალაქის გამგეობის დავალებით ქალაქის აგენტი ანაწილებს გადასახადებს სასმელებით სავაჭრო დუქნებზე. გადასახადი 37,830 მანეთია. ყველაზე მეტი გადასახადი მე-10 და მე-5 უბნებზე მოდის.

✦ ლექციები და საღამოები. იმერეთიდან გვატყობინებენ: კ. აბაშიძე დ. ქიათურაში ამ მოკლე ხანში წაიკითხავს საჯარო ლექციას: „დ. კლდიაშვილი, როგორც ბელეტრისტი“. კავკასიის სხვადასხვა პროვინციებში განზრახვა აქვთ გამართონ ილიას საღამოები. 27 ოქტომბერს ასეთი საღამო იმართება ქ. ქუთაისს.

✦ მეურნეთა კრება. კვირას, 25 ოქტომბერს, მოხდება კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოსა და სამეურნეო საქმეთა მომწყობ ბიუროს შეერთებული სხდომა, რომელიც შეადგენს სიას იმ საპატიო პირთა, რომელნიც კავკასიის სოფლის მეურნეთა მომავალ სიეზდზე იქნებიან მოწვეულნი. აირჩევენ აგრეთვე სასიეზდო ბინას.

✦ დარჩენილი გადასახადი. შინაგან საქმ. მინისტრის მოთხოვნით გუბერნატორმა წინადადება მისცა თფილისის ქალაქის თავს დაუყონებლივ შეკრიბოს 1908 წ. დარჩენილი 344,980 მ. სახაზინო გადასახადი.

✦ სამეურნეო საზოგადოების სხდომა მოხდება დღეს, სადაც, სხვათა შორის, განიხილავენ საკითხს თფილისის საბაღოსნო სკოლის მმართველის არჩევის შესახებ. მმართველათ ეხლანდელ დროებით გამგეს პ. მელიას ასახელებენ.

✦ პოლიტიკური საქმე. თფილისის სამოსამართლო პალატის სესიამ მიმდინარე ოქტომბერში ქ. ქუთაისში განიხილა ტომსკის უნივერსიტეტის მე-5 კურსის სტ. პავლე ჯვარიშეიშვილს და ს. იანეთის მცხოვრების კოსტა ლეკვეიშვილის პოლიტიკური საქმე. სტუდენტ ჯვარიშეიშვილს ბრალდებოდა, რომ ის 1905 წ. იყო ხელმძღვანელი იანეთის სოციალ-რევოლიუციონურ. დემოკრატიულ (?) ორგანიზაციისა, ლეკვეიშვილს ამ ორგანიზაციის წევრობა ბრალდებოდა. ბრალდებულთ იცავდენ ნაფიცი ვექილი ი. ბარათიშვილი (თფილისიდან) და ნაფიც ვექილის თანაშემწე გრ. გიორგაძე. სასამართლომ ბრალდებულთ გადასახლება მიუსაჯა.

✦ სხვა და სხვა ამბები. იპოვეს პასპორტი რკინის გზის სამგზავრო ბილეთით კონდუქტორის ვასილ გორდელაძის სახელზე. იკითხეთ ადელხანოვის ზავოდში თედო სადოქაშვილთან № 91.—მე-5 საპოლიციო უბანში, დღით, 20 ოქტომბერს, პოლიციამ შეიპყრო ახალციხის მოქალაქე მიხ. ანტოშვილი, რომელიც ადმინისტრატიული წესით იყო გადასახლებული. თფილისში თავის ნებით დაბრუნებისათვის. მას სამართალში აძლევენ.

წერილები სპარსეთიდან

3.

ბაქოდან რეშტამდე.

25 სექტემბერს 11 საათზე გავედით რეშტიდან თეირანისაკენ. ფოსტით 4 დღის სავალია და ღირს 25 მანეთზე მეტი. დილიჟანსი ღირს 20 მ., რომელიც კვირაში ორჯერ გადის, ეტლი—სამოცი მანეთი (სამ კაცზე) და „კალიასკა“ 120 მ. რაკი ჩვენ ვიჩქაროდით, ამიტომ აღარ მოუცადეთ დილიჟანს. უზარმაზარი „ფურგუნი“ დატვირთეს ყუთებით და ზედ წამოვსკუპდით სამი კაცი. გზა-ტკეცილი რუსეთის მთავრობას აქვს გაყვანილი თეირანამდე და თითო მგზავრს შვიდ აბაზს ახდევინებენ ცალკე.

შუა ღამეა. ჭალა-ტყეში ისმის მგლებ-ტურების ყმუილ-კივილი. გზა სავსეა თეირანს მიმავალი ქარავანით და აქლემების გზის აქცევა უჭირს ფურგუნს. გზადაგზა პატარა დუქნებია აგებული. თეირან რეშტს შუა 400 ვერსტზე მეტია და ეს გზა უნდა ფეხით გაიაროს ჩალვადარმა. აგერ მოდის დაღვრემილ-დაფლეთილი თათარი; მას წაუწვდია კისერი აქლემივით, ფეხები ტიტველი აქვს და ტალახში მიითლანთლება. იგინება, ილანძღება და საცა ჩამოეძინება, იქ მიწვება საქონლის გვერდზე...

მეთოთხმეტე ვერსტზე ჩვენ მუჯახიდებ-თათრის კაზაკებმა დაგვატყვევეს. მათ ზრდილობიანათ შეგვიყვანეს საჩაიეში და ჩაი-ვახშამი მოგვართვეს, ფოსტა გაისტუმრეს. ჩვენ ძალიან მშვიდათ შევხვდით ამ ამბავს, მარა ჩემს არსებაში რაღაც მოკვდა...

„რკინაც იყოს ისიც დადნეს
ამებს ცეცხლში ჩაგდებული“-ო
ამბობს პოეტი.

— რას მოგიწყენია ამხანაგოვო—მეუბნება თავიდან ფეხამდე შეიარაღებული ყაზახი. რა ვუთხრა. ამ ქვეყანაში, ადერბეიჯანის მხარეში სალაპარაკო ენა არ გამოდგება, აქ ფარსულია და მეც ვილევი უსიტყვოთ, ცრემლები მახრჩობს. თავისუფალ ირანში გვიჭერენ, განა ღირს ამათთვის წვალება?

მარა, არა მკითხველო! დიახ რომ ღირს, მხოლოდ აქ ძლიერი დაბრკოლებაა და საჭიროა ყოველგვარი დაბრკოლების გადალახვა, რადგან ჩვენთვის უცნობ პირობებშია საქმე...

ჩვენ ზრდილობიანათ მოგვეპყრენ; შეწუხდენ, რომ სტუმარს ატუსაღებენ, მარა ამას კანონი გვიბრძანებს და წესს ვერ დავარღვევთო! ამას გეუბნება გუშინდელი სარბაზი, გული შვებას პოულობს და ამბობ პოეტის სიტყვებს:

„ტყუილათ ხომ მაინც არ ჩაივლის
ეგ განწირული სულის კვეთება“.

და იმედი ფრთას ისხავს...

ორი საათის შემდეგ მოიყვანეს ეტლი, ჩაგვსხეს შიგ და ორი დარაჯით მიგვიყვანეს რეშტის პოლიცმეისტერთან. გზაში ათასნაირი ფიქრები გვიტაცებდა და ხშირათ იმედიც გვიწყდებოდა, რომ ეს ხანჯლიანები დაგვკლავდენ, მარა არ გამართლდა ზოგი სახელმწიფოს ყვირილი «მხეცებია» ისინიო და მათში უკეთილშობილესი გრძნობა აღმოჩნდა...

პოლიცმეისტერმა, რაკი შეიტყო ჩვენი ვინაობა, ბოდიში მოიხადა, შეწუხდა და ეტლით სასტუმროში გაგვგზავნა. ჩემმა ყარაულებმა პატიება ითხოვეს „დანაშაულის“, რომ სტუმარს ასე მოვექეცითო...

მეორე დღეს ხმა გავრცელდა სავაჭრო ფირმის, თუმანიანცის, გადაგზავნილ ფულებს ყაჩაღები დაეცენ და 6,000 მანეთი გაიტაცესო! სპარსეთის ამ მხარეში ქურდ-ყაჩაღობა არ არის, აქ ხალხი თვითონ სდევნის ყველა ამაებს.

ქალაქი შეინძრა: მთავრობა ფეხზე დადგა და მან მისი მოქმედებით დაამტკიცა, რომ წესს დაიცავს. გზები გაკრეს, დეპეშები აფრინეს, ჯარი დაგზავნეს და დამნაშავეც აღმოაჩინეს, რომელსაც უპოვნეს 1200 მ. ორი ბოროტმოქმედი მიიმალა და მათ დასაჭერათ ყოველი ღონე იქნა მიღებული. ფულის წაღების მომწყობი აღმოჩნდა ახლო ნათესავი კანტორის გამგის პ.-აკა №—ცი და ის ორი სომეხი, რომელნიც მონაწილე აღმოჩნდენ ჯერ-ჯერობით იმალებიან. რუსეთის მთავრობამ კი გამოაცხადა: სპარსეთში ჩვენი ქვეშევრდომის ინტერესი ილახება, საქმეში უნდა ჩავერიოთო! ცხადია, თუ რა ძნელსა და რთულს ყოფაშია სპარსეთის მდგომარეობა და ამ დროს ქვეყნის ნაძირალნი ასეთ პროვოკატორულ როლს თამაშობენ,—მარა ამაზე ცალკე წერილში.

27 სექტემბერს შევუდექი ქ. რეშტის დათვალიერებას. პირველათ წავედი იმ ბაღში, სადაც რეშტის გუბერნატორი შეთქმულობით მოკლეს.

როდესაც თქვენ ვენაში შედიხართ, ჩქარით ნახოთ „ძმობის საფლავი“ 1848 წ. დახოცილ მებრძოლთა, შემდეგ ისწრაფვით პარლამეტში. პარიზში გული გიცემთ სანამ ბასტიალს ნახვიდეთ და კომუნის გმირთა საფლავზე წითელ გვირგვინს იხილვიდეთ... ბერლინში მოისმენდეთ პარტიის სიამაყე ბებელის მქუხარე შინაარსიან სიტყვას... ლონდონში იხილვიდეთ კარლ მარქსის საფლავს და დაესწრებოდეთ ტრედ-იუნიონის მილიონ რიცხოვან კრებას. ფილიანდია-დანია-შვეციის თავ-დადებულ ბრძოლის ნაყოფ სახალხო შენობებში მოისმენდეთ ყველა პარტიების კრებებს და მუსიკით დასტკბებოდეთ. ჟენევაში ნახავდეთ სხვადასხვა ხალხთა სოლიდარობით შეკავშირებულ რესპუბლიკას და შვეიცარიის მიდამოებში მოხუცებულ ძველ რევოლიუციონერებს მოწიწებით ხელს ჩამოართმევდეთ.

და როდესაც სპარსეთში ფეხს შემოდგამთ, აქაც გიზიდავთ თავ-გაწირულ გმირთა ნაბრძოლი ალაგები: ადერბეიჯანში: თავრიზი თავისი გმირებით. ხოი-სალმასტ-ურმია სისხლით არის შეღებილი, რეაქციონურ ხანების მიერ გადამწვარი სოფლები მოწმობენ შავ დღეებს. თავრიზის შახის დანგრეული სასახლე მისი ხალხის მიერ ლაღადებს ძველი წესწყობილებისთვის წესის აგებას.. გაქცეული მეფე უფრო საცოდავ დღეშია, ვიდრე ლიუდოვიკ მეფე. დიახ, სპარსეთს თავისი ახალი ისტორია აქვს. ეს ისტორია ხალხმა სისხლით აღბეჭდა ისტორიის ფურცლებზე და მთელ ევროპას გვერდში ამოუდგა. მაშ, გავიცნათ თვითეული მათგანი ძლიერ მოკლეთ და მოწიწებით დავათვალიეროთ იგი!

ჩვენ სამნი ჩავსხედით ეტლში. წინ მამედ-ალი რისულ-ზადე და გვერდით კი ამაყათ იჯდა რეშტ კაზვინ-თეირანის აღების ერთი გმირთაგანი და რაზმის ხელმძღვანელი გურჯი სერგო. ეტლი გასცდა ვიწრო ოღრო-ჩოღრო ადგილებს და მწვანე მინდორზე გასრიალდა. გამოჩნდა ბაღები, ფართო ქუჩები მშვენივრათ მოკირწყლული, რომლის კიდეებში გამწკრივებულია საუცხოვო უზარ-მაზარი ხეები. შორით მოსჩანს ახალ მომკილი ბრინჯის ყანა, გესმით ბავშების თამაშის ხმა და სხვა....

გლახა მგელაძე.

(შემდეგი იქნება)

პროვინცია

ნიგოითი. (გურია) გასული წლის გვარიანი მოსავლის გამო წელს ნიგოითელმა გლეხებმა ყანის მუშაობას ადრე მოვკიდეთ ხელი. მიუხედავად იმისა, რომ ღალის ფასის მომატება გამოგვიცხადეს არავითარ გაფიცვისათვის ამის შესახებ არ მიგვიმართავს. ვფიქრობდით: შეიძლება კარგი მოსავალი დარჩეს და ათასს ნაირ გადასახად-ნედოიმკებით გატყავებულები, მჭადის მონატრული მაინც არ დავრჩენილიყავით, მაგრამ მოვსტყუვდით. ჯერ ერთი, რომ მოსავალი ცუდი იყო და რაც იყო, ისიც სოფლის წურბელა მევახშე ჩარჩ-ბაცაცებს ჩაუცვივდა ხელში. როგორც მოგეხსენებათ, ნიგოითის სახნავ-სათესი მიწები სახელმწიფო ბანკის ხელშია. როგორც ამ მამულების, აგრეთვე მთელი ქუთაისის გუბერნიის მამულების მმართველი თ-დი გიორგი ჩიჩუა არის. ხსენებულ პირს ჩვენში მის ხელ-ქვეით მოსამსახურეთ მეგრულები ყავს. წელს ყანები დათესვისათანავე გაზომეს, მაგრამ იმას როგორ ვიფიქრებდით, რომ ჩვენ-ჩვენი საყანე მიწა რაც არ იყო ზედ მეტად დაგვაწერდენ. თ-დი ჩიჩუასაგან ის დაპირებაც კი გვქონდა, რომ „უვარგისს ყანებზე შეხედულებას ვიქონიებთო“, მაგრამ ორივე შემთხვევაში მოვსტყუვდით. შეფასებას ვინ ჩივოდა—მიწები ზედ-მეტად აგვიზომეს. ამის მაგალითები ბევრი არის, რომლის მოწამე ერთხელ თვით თ-დი ჩიჩუაც გახდა. ამნაირათ მიწებზე ორმაგი გადასახადი

სიტყვით მოვიყვანოთ ჩვენი მაშინდელი სიტყვები: „ფართო თვითმართველობა პოლიტიკურიც არის და ადმინისტრატიულიც ერთ და იმავე დროს, რას ნიშნავს ეს? იმ შემთხვევაში, როცა ის ერთხელ განსაზღვრულ „ჩარჩოებში“ (ეს სიტყვა ჩვ. კვალელისაა) კანონმდებლობს, ასრულებს და მართლმსაჯულობს, იგი პოლიტიკური ორგანიზაციაა; იმ შემთხვევაში, როცა ის ასრულებს მხოლოდ ცენტრისაგან დადგენილ კანონებს, ის მაშინ ადმინისტრატიული ორგანიზაციაა „ჩვენი ხმა“ 17). როგორ ფიქრობს ბ. ჟორჟაძე, აქვს თუ არა სწორეთ ასეთი ორგვარი ხასიათი ეს-ფეთა ავტონომიას? იქნება არა? მაშინ ბრძანეთ და ჩვ. კვალელს ნუ ეფარებით. ჩვენ ჯერ კიდევ არ აგვიხსნია სავსებით სიტყვა „პოლიტიკური“, მაგრამ ჯერი თქვენზეა.

ჩვენ მოვიყვანეთ თითქმის ყველა ის მუხლები, რომელთაც შესაძლებელია საერთო დაეძახოს ორივე პარტიისათვის. როგორც ეს-ფეთა ავტონომია, ისე არა ნაკლებ ეს-დეკთა თვითმართველობა გულისხმობენ: განსაზღვრულ ტერიტორიას და ხალხს, კანონდებას ერთხელ მიჩენილ დარგებში, და ამ მხრივ ორივე დაწესებულება დიახაც პოლიტიკური ხასიათისაა. ჩვენ არ შეჩერებულვართ კერძოთ აღმასრულებელ ძალაზე, რადგან ამ მხრივ არაა მანდამაინც დავა. ორივე პარტიის დაწესებულებანი შეუზღუდველათ ასრულებენ, როგორც თავის კანონ-წესებს, ისე მთელი იმპერიისას; უკანასკნელ შემთხვევაში ორივე ისინი არიან ადმინისტრატიული ორგანოები. მართლმსაჯულებაზე ან სასამართლოზე ჩვენ შევჩერდებით ცალკე, აქ კი ავღნიშნავთ საერთო ხაზებს. მსაჯულნი და სხვა სათანადო მოხელენი ირჩევიან ადგილობრივ, ეს თავის თავათ ცხადია. იმავე დროს ის კანონ-წესები, რომელნიც განსაზღვრულია ორივე პარტიის დაწესებულებათა მიერ, სავალდებულოა და სახელმძღვანელოა აგრეთვე სამსაჯულოსთვის.

როგორ, მაშ ეს-ფეთა ავტონომია და ეს-დეკთა თვითმართველობა ერთი და იგივე ყოფილან!—შეიძლება გაიკვირვოს მკითხველმა. როგორც ხედავთ ეს ასეა ჯერ-ჯერობით. განსხვავებას ჩვენ შემდეგ ვნახავთ. სწორეთ ამიტომ ვამბობდით ჩვენ „ეროვნულ კითხვაში“: «ფართო თვითმართველობა აუცილებლათ გულისხმობს ავტონომიას, ავტონომია თავის მხრივ გულისხმობს ფართო თვითმართველობას; მათი ერთმანეთის პრინციპიალურათ დაპირდაპირება ყოვლად შეუწყნარებელია“ („ხომლი“ 18). ჟორჟაძესაც მოჰყავს ეს სიტყვები და ძლიერ გაბრაზებულია; ხოლო ვინაიდან გაბრაზების ჟამს ძალიან ძნელია საკუთარ აზრების დასაბუთება, ჩვენი მოკამათეც თავს არ იწუხებს ამ მხრივ. იმ მოსაზრებით, რომ ჩვენ „უარვყავით“ საოლქო თვითმართველობა, ის ერთობ მწყრალათ შემოგვძახებს: „მაშ რად დასჭირდა მას ამ თვითმართველობის განდიდება და გალამაზება ავტონომიურის სამკაულით!“ („დრ.“ 196). იმად, ჩვენო მწყრალო ისტორიკოსო, რომ ამა თუ იმ კუთხის ორგანოების „უარყოფა“ ერთია, ხოლო რომელიმე ინსტიტუტის საზოგადოთ დაცვა მეორეა. რაც შეეხება „განდიდება-გალამაზებას“, ბ. ჟორჟაძე ერთ სიტყვასაც არ ხარჯავს. მან მხოლოდ სიტყვით აღიარა საერთო და სადავო მუხლების გამორკვევის საჭიროება, საქმით კი არც თვითონ აკეთებს რამეს და სხვის ნათქვამსაც ბურუსში ხვევს. იქნება აწი მაინც გაგვიმხილოს მან მისი შეხედულება ამ საგანზე, მხოლოდ ჩვ. კვალელის უკან ნუ მიკოჭლობს. რა პრინციპიალური განსხვავებაა ავტონომიასა და თვითმართველობას შორის?—აგვიხსენით აბა. თქვენ ხომ იცით, მაშ, ჩვენც ვიცოდეთ... მაგრამ ერთი პირობით კი, თვითმართველობაში სტოლიპინის „ბიუროს“ ნუ იგულისხმებთ, ნუ დაგაბნევსთ აგრეთვე იურიდიული ტერმინოლოგია.

მიუხედავათ ნათქვამისა, ჩვენ მაინც დავინახეთ დიდი განსხვავება ეს-დეკთა თვითმართველობასა და ეს-ფერთა ავტონომიის შორის, ახლა ამაზე შევჩერდეთ. ჩვენ ვამტკიცებდით „ეროვნულ კათხვაში“, რომ ტერიტორია, კანონმდებლობა და სხვა არ არიან ისეთი სპეციფიური რამ ნიშნები, რომელნიც შეგვეძლოს მივაწეროთ მარტო ავტონომიას და იმავე დროს გამოვრიცხოთ ფართო თვითმართველობიდან, თუ ამ უკანასკნელში ეს-დეკის დასრულებულ და დემოკრატიულ დაწესებულებას ვიგულისხმებთ. არც პარლამენტი, სამინისტრო და მზგავსი რამეებია აქ მოსატანი, როგორც ეს კიდევ ჩვ. კვალელს შევნიშნეთ. მეტსაც ვიტყვით, თუ ავტონომია არ განირჩევა ამ თვისებებით სახელმწიფოსაგან, როგორც ამას გვიჩიჩინებენ ეს-ფენი და მათთან ერთათ ჩვ. კვალელნიც, ფართო თვითმართველობაზეც სწორეთ იგივე შეიძლება ითქვას: უკანასკნელსა და სახელმწიფოს შორის სრული ანალოგიაა ამ მხრივ. მაშ რაშია საქმე? იმაში, რომ ჩვენ არსებულ დიფერენციაციის აღსაბეჭდათ კრიტერიუმს სხვაგან ვეძებდით—ეს არის უფლება-მოვალეობის რაოდენობა ან კომპეტენცია. ჩვენ ხელთ არა გვაქვს ის ნომერი (უნდა იყოს „ხომლი“ 19), სადაც ლაპარაკი გვქონდა ამ საგანზე, მაგრამ ის არცაა ამ ჟამად საჭირო, რადგან ჩვ. კვალელს მოჰყავს სწორეთ იქიდან ერთი საყურადღებო ადგილი, აი ისიც: „ფართო თვითმართველობას და ავტონომიას არსებითათ ერთგვარი ფუნქციები ევალებათ, მაგრამ დიდი განსხვავებაა მათ შორის, როცა კითხვა კომპეტენციაზე მიდგება: ჩვენი ნაციონალისტების ავტონომია თხოულობს გაცილებით მეტ უფლება-მოვალეობათ, ვინემ ფართო თვითმართველობა“.

ჩვენზე ადრე კიდევ ან-მა აღნიშნა, როგორც ამას მოწმობს ბ. ჟორჟაძეც, რომ ფართო თვითმართველობა არ კანონმდებლობს სამოქალაქო და სისხლის სამართლის დარგებში. ჩვენც ვინაწილებდით ამ აზრს შემდეგის განმარტებით: სამოქალაქო უფლება ვრცელდება უმეტესად კერძო საკუთრებაზე, მართლმსაჯულობის წესიც (процессъ) ცენტრში მუშავდება; ადგილობრივი დაწესებულებანი მხოლოდ ასრულებენ, მაგრამ მარტო ისინი და არა ცენტრისაგან მოგზავნილნი. ჩვენ უკვე ვიცით, რომ აგრეთვე ადგილობრივ გამოიცემიან კანონები, რომელნიც არა ნაკლებ სავალდებულო იქნებიან მსაჯულთათვის, რასაკვირველია, ადგილობრივ კომპეტენციის ფარგლებში. ეს ერთი. მეორეთ, ჩვენ ვაკუთვნებდით იმავ ცენტრს შრომის დაცვას, ხოლო ამ უკანასკნელთან მჭიდრო კავშირი აქვს ადამიანის და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციას საერთო სახელმწიფოს მიერ და ამაზე არცაა დავა. აქვე უნდა შევნიშნოთ მასთან, რომ სამოქალაქო და სისხლის სამართალს, ერთის მხრით, და შრომის დაცვას, მეორეს მხრით, ჩვენ მხოლოდ ზოგადად ვასახელებთ, ვინაიდან მათი სასტიკი და დეტალური განსაზღვრა-შემოფარგვლა უფრო სპეციალისტ იურისტის საქმეა, ვინემ პუბლიცისტის. ჩვენ ვამბობდით, რომ ეს-ფეთა ავტონომია ამ ორ დიდმნიშვნელოვან დარგებს თავისთვის იტოვებს. ამ ორიოდე თვის უკან ჩვენ ვიხილეთ ეს-ფეთა ახალი პროგრამა, სადაც სულაც არაა მოყვანილი მათი ავტონომიის კომპეტენცია და ამიტომ კარგი იქნება გავიგებდეთ მათგან გადაჭრით, გადადის თუ არა დღესაც ეს ორი დარგი ავტონომიაზე. ჩვენ კი ვხელმძღვანელობთ მათი ძველი პროგრამით, სადაც დაახლოვებით ნათქვამია, რომ გარდა დიპლომატიისა, ბაჟებისა, ჯარისა, სტრატეგიულ გზებისა და ფოსტა-ტელეგრაფისა, დანარჩენი დარგები ავტონომიას გადაეცემაო.

აკ. ჩხენკელი.

(დასასრული იქნება.)

ბევრს შეხვდა. ყანებში შეიარაღებული მოხელეები დადიოდენ და უფულოთ სიმინდის მოტეხის ნებას არ გვაძლევდენ და რადგან ჩვენ ფულები არ გვქონდა, იძულებული ვიყავით მევახშე ჩარჩებისთვის მიგვემართა, ამას ის გარემოებაც უწყობდა ხელს, რომ ერთი და იგივე პირი, მიწის მზომელიც იყო, ფულის მიმღებიც, სიის გამსინჯველიც და კვიტანციის დამწერიც. ეს ძლიერ უძნელდებოდა ბ. „მოხელეს“. ორი სამი დღის „ყურყუტი“ ძნელია ასეთ დროს ყანის მუშისთვის, ორ სამ მანეთს მეტს იხდის და სამუშაოზე მიეჩქმრება, ხოლო რომლებმაც არ გადიხადეს ეს ზედ მეტი ორი-სამი და ხშირად 8 მანეთიც მეტი, მათ აშკარა სიყალბე აღმოაჩინეს. ამას დაუმატეთ ყოვლათ უმიზეზოთ ცემა-ტყეპა. შარშან ჩემი თვალ წინ მათრახით სცემეს ერთ ყანის მუშას, მხოლოდ იმისთვის, რომ კანონიერი კვიტანცია მოსთხოვა· წელს სულ უბრალოთ სცემეს მეორე ყანის მუშას, რომელმაც საქმე — კიდევაც განასაჩივრა. **გლეხი.**

სადგ. ბალაჯარა. რაღაც ახალი ავათმყოფობა მოედო ბალაჯარას და ამისთვის ბაქოში გახსნეს ქსენონის განყოფილება ბალაჯარას ავათმყოფთათვის. ავათმყოფობა ციებ-ცხელებას გავს.

— 18 ოკტომბერს აქ დაატუსაღეს სად. პირველ კლასის ბუფეტის მოსამსახურე ალექსანდრე თხილავა. ხსენებულს მამაც ცეხეში ყოლია. მიზეზი გამოუკვლეველია.

— როგორც ხმა დადის, ექიმებს შეუმოწმებიათ, რომ სად. ბალაჯარაში ვლადიკავკაზის რკინის გზის გამგეობის განყოფილების მხრივ სადაც ხაჩმასის წყალი მოაქვთ სახმარებლად, მოწამლული ყოფილა და ავათმყოფობის მიზეზს ამაზე ამყარებენ. **გ. ხალხიშვილი.**

მუშათა შორის

—

თფილისის რკინის გზის დეპო. მემანქანეები და მათი თანაშემწეები განიყოფებიან „ხარისხებათ“ არიან მემანქანეების თანაშემწეები 1 ხარისხისა. რომლებიც 7—8 წელიწადი და ზოგიც მეტი ასრულებენ მემანქანეების თანამდებობას, მაგრამ მათ ამ თანამდებობაზე არ ამტკიცებენ. მიზეზათ მოჰყავთ ხოლმე „კრედიტის“ უქონლობა. არიან კიდევ დღიური თანაშემწეები, რომლებიც 4—5 წელიწადია ასრულებენ თანაშემწეობას, მაგრამ როგორც პირველებს, ისე ამათაც არ ამტკიცებენ იმავე „კრედიტის“ უქონლობის გამო. (ზოგჯერ მიზეზათ „პერერასხოდი“ მოჰყავთ) და აი, სწორეთ ამათიზე გაილაშქრა მთავრობამ. დღიური თანაშემწეები გაგზავნეს დეპოში სამუშაოთ, 1 ხარისხის თანაშემწეები, რომლებიც ასრულებდენ მემანქანეების თანამდებობას ჩამოაყენეს უკანასკნელების ადგილზე. ეგრეთ წოდებულ სადგურის ადგილობრივ „მანევრებზე“ ჩამოაყენეს მე-4 ხარისხის მემანქანეები. დარჩა ერთი ჯგუფი—მე-2 და მე-3 ხარისხის მემანქანეები, რომლებიც ასრულებენ მთელი მატარებლების „გრაფიკს“. ეს ჯგუფი მემანქანეებისა, უფრო ღონისძიებას ხმარობენ, რაც შეიძლება მეტი „ვერსტები“ აკეთონ (ვერსტების მეტი გამორჩენა იგივე ზედმეტი მუშაობაა), რომ მეტი ფული აიღონ. თუმცა მემანქანეებს შეუძლიათ და სრული უფლება აქვსთ, როცა კი სურთ მოითხოვონ დასასვენებლათ 12-დან 16 საათამდის, მაგრამ ამ უფლებით არ სარგებლობენ და, ზოგჯერ 4—5 საათის დასვენებით კმაყოფილდებიან და მიდიან მატარებლებით, რა არის მემანქანეები არ მოუმატოს მთავრობამ და ვერსტების ფული არ შეუმციროდესთ. როდესაც ზოგი ამხანაგები უთითებენ ამ არა-ნორმალურ მუშაობაზე, ისინი უპასუხებენ ხოლმე: „ჩვენ 5—6 საათი ძილისთვის გვყოფნის და მეტი რა საჭიროა, რა უნდა გავაკეთოთ სახლში ყოფნითო“ ამიტომაცაა, რომ მემანქანეები სხვებზე მეტათ ჩამორჩენილები არიან გონებრივათაც და შეგნებითაც. ეს ზემოხსენებული ჯგუფი მემანქანეებისა, რასაკვირველია, შედარებით თავიანთ უმცროს ამხანაგებზე ბევრს იღებენ, როგორც ჯამაგირს ისე მეტი გავლილი ვერსტებისას. ამ მემანქანეების ჯგუფში არიან ისეთებიც, რომლებსაც წინათ მოწინავებათ მოქონდათ თავი, მაგრამ დრონი იცვალენ და ისინიც გამოიცვალენ.

თფილისელი მემანქანე.

უცხოეთი

ოსმალეთის დღევანდელი ვითარება.

კითხვა იმის შესახებ, თუ რა მოელის მომავალში ოსმალეთს და საზოგადოთ, ბალკანეთის ნახევარ კუნძულს, ეჭვს გარეშეა, აინტერესებს ყველა იმათ, ვინც თვალყურს ადევნებდა ამ უკანასკნელ ხანებში ოსმალეთში მომხდარ ამბებს. პირველი ადგილი, რასაკვირველია, ეკუთვნის რევოლიუციას, რომელმაც ძალაუფლება გამოაცალა ხელიდან აბდულ-ჰამიდს და მოსპო ის სასტიკი რეჟიმი, რომელიც ამ ბოროტმა თვითმპყრობელმა შექმნა. შემცდარი ვიქნებით ვიფიქროთ, რომ ახალგაზრდა ოსმალთა მოძრაობის მიზანი მარტო პოლიტიკური და განმათავისუფლებელი იყოს. ისინი ოსმალეთის გაევროპიელებასთან ერთად ცდილობენ სახელმწიფოს იმ დაღუპვისაგან გადარჩენას, რომელიც ორ საუკუნეზე მეტია რაც დაიწყო. ახალგაზრდა ოსმალებს ეგონათ, რომ წარმომადგენლობითი მართვა-გამგეობა ერთი მხრით გააძლიერებდა სახელმწიფოს და მეორე მხრით—შეარიგებდა ამ სახელმწიფოსთან ოსმალეთში მცხოვრებ სხვა ერებს, რომელნიც რამდენიმე საუკუნეა, რაც თავიანთ ნაციონალურ აღორძინების საქმეს ემსახურებიან,—უკეთ რომ ვთქვათ—ოსმალეთის სახელმწიფოს ნაწილ ნაწილათ დაყოფას ცდილობენ. ამ მიზნით ახალგაზრდა ოსმალები შეეცადენ დაეხშოთ ამ ერებში განცალკევების მისწრაფებანი და დაეკავშირებიათ საერთო სამშობლო ოტომანისათვის. ბევრი თავიდანვე იმ აზრის იყო, რომ ახალგაზრდა ოსმალები თავიანთი მიზნის განხორციელებას იმ კულტურული ძალებით, რაც მათ მოეპოვებათ, ვერ შესძლებდენ, რომ ოტომანელი ბერძნები და ბოლგარები თავს არ დაანებებდენ თავიანთი ნაციონალური ცენტრებისაკენ მისწრაფებას, რომ ისინი ვერ შეურიგდებოდენ ოსმალთა, ამ მათზე, როგორც კულტურულათ, ისე ეკონომიურათ ჩამორჩენილ ტომთა მეთაურობას, რომ ნაციონალური ბრძოლა არ ჩაქრებოდა არც კონსტიტუციონურ ოსმალეთში და სხ... მაშ, რაზე ამყარებდენ თავიანთ იმედებს ახალგაზრდა ოსმალები? თავიანთი ხალხის შემოქმედებითი ნიჭის მოსულიერება-გამხნევებაზე, განახლებულ მართვა-გამგეობაზე, სხვა ერებზე, რომლებიც აბდულ-ჰამიდთან ბრძოლის დროს მათთან იყვენ შეკავშირებულნი და ევროპის თანაგრძნობაზე. ამით ისინი ცდილობდენ დროს მოგებას, რომელიც მათ გამოფხიზლების საშუალებას მისცემდა.

რა მოიტანა გასულმა წელმა? ვისი იმედები განახორციელა მან? ამ ხნისგანმავლობაში მათ (ახ. ოსმ.) შესამჩნევათ შესცვალეს სახელმწიფოს მართვა-გამგეობის წესი: ქურდობა აღარ რჩება დაუსჯელი, აღარ იხარჯება ხალხის ფული ისე უთავბოლოთ, როგორც წინეთ, კანცელიარიებში წინანდებურათ მოხელეები ყავას აღარ შეექცევიან, არამედ—მუშაობენ და სხ... ახალგაზრდა ოსმალთა ხელმძღვანელების პოლიტიკური აზროვნებაც შეიცვალა: მათი აზროვნება აღარ არის გაჟღენთილი ცენტრალიზმით ისე, როგორც წინეთ იყო, ნაკლებათ ისმის აგრეთვე შოვინისტური ჰანგები. ის აზრი, რომ ფართო დეცენტრალიზაციისა, საზოგადოებრივ თვითმოქმედებისა და სხვადასხვა ერებთან შეუთანხმებლობისა ოსმალეთში მშვიდობიანობა არ დამყარდება, თანდათან ფეხს იკიდებს ახალგაზრდა ოსმალებში, რაიც მოასწავებს ნაციონალური კითხვის ადრე მომავალში ფართო და პროგრესიულ საფუძველზე გადაჭრას· ამას ხელს უწყობს სომხების, მაკედონელების და ალბანელების ნაწილის ახალგაზრდა ოსმალებთან მეგობრული დამოკიდებულება...

კონსტიტუციონური იდეები თუმცა სწრაფი ნაბიჯით ვითარდება ოსმალეთში, მარა საქმე ცოტა კეთდება: არ არსებობს ჰარმონია აზრსა და მოქმედებას შორის. ახალგაზრდა ოსმალთამა ორნაირი ბრძოლა უნდა აწარმოვოს: სხვადასხვა ერთა სეპარატისტულ მისწრაფებათა და ძველი ოსმალეთის წინააღმდეგ. ძველი ოსმალეთი მარტო აბდულ-ჰამიდის ოსმალეთი არ არის, არამედ—ის კიდევ ისტორიული ოსმალეთია, რომელიც დიდათ უფრთხილდება ძველ უპირატესობებს და რომელიც გაიზარდა დესპოტიურ მართვა-გამგეობაზე თანდაყოლილი ანარქიის წყალობით. ასეთი ანარქიის წყალობით ოსმალეთის მთავრობა უფრო სახელათ ფლობდა ვინემ საქმით—არაბეთს, მესოპოტამიას, ქურდისტანს, ალბანიას და სხ. ეხლა კი, ან უარი უნდა თქვას ახალგაზდა ოსმალეთმა ამ ქვეყნებზე (მაშინ ეხლანდელი ოსმალეთიდან რაღა დაგვრჩება) ან ძალით უნდა დაიპყროს და ეს ნახევრათ ველური ხალხი დაუმორჩილოს კულტურული სახელმწიფოს მართვა-გამგეობის წესებს. ამიტომაა, რომ ალბანიაში ჯავიდ-ბეის ზარბაზნები გრგვინავენ, იემენში გაიგზავნა 40 ათასი ჯარის-კაცი და მთელი სამხედრო ფლოტის მესამედი ნაწილი—დერზიმში და, სულეიმანიაში მოქმედებენ დამსჯელი რაზმები. ძველი ოსმალეთი—ეს ცრუ მორწმუნოების, ღრმა ძილის, სამსახურის გარეშე დატოვებულ ფაშების, სასახლის ევნუხების, ქურდ-მოხელეთა ქვეყანაა; მათ უკანასკნელი სიტყვა 31 მარტს არ უთქვამთ; ამ ჟამათ ისინი საიდუმლოთ მოქმედობენ, რომ დრო იხელთონ და ყველა ის დაამხონ, რაც ახალმა ოსმალეთმა სიმწრით შექმნა და ჰქმნის. მათ წინააღმდეგ ახალგაზდა ოსმალეთს სიფრთხილე მართებს და აი, ის გამოიხატება სამხედრო წესებში, სახრჩობელებში, სამხედრო სასამართლოებში, დამსჯელ რაზმებში და სხ..

მეორე მხრით ახალგაზდა ოსმალეთს ბრძოლა უხდება სხვადასხვა ერებთან, რომლებმაც კონსტიტუციონურ წესწყობილებაში საუკეთესო საშუალება ნახეს, რომ გააღრმავონ და გააფართოვონ თავიანთი ნაციონალური მუშაობა. ეს კი ახალგაზრდა ოსმალთა აზრებს ეწინააღმდეგება. ამიტომ, ოსმალეთის მთავრობა ცდილობს კონსტიტუციონური თავისუფლების დამახინჯებულათ განმარტებით ცდილობს სხვა ერებს შეუვიწროვოს ხსენებული თავისუფლებით სარგებლობის ფარგლები. ამიტომ მთავრობის მეცადინეობით პარლამენტმა გამოსცა კანონი, რომლითაც აკრძალულია ყოველგვარი ასოციაციის მოწყობა ნაციონალურ საფუძველზე; ამავე მიზნით მთავრობამ განმარტა, რომ კონსტიტუციონური მართვა-გამგეობის დაწესებით ისპობა სხვა ერთა პრივილეგია, რომლითაც მათ უფლება ეძლეოდათ პოლიტიკურათ შეკავშირებულიყვენ თავიანთი ეკლესიის წარმომადგენელთან, რომელიც განაგებდა არა მარტო საეკლესიო, არამედ სამოქალაქო საქმეებსაც. ამაზე მსოფლიო პატრიარქმა ასეთი პასუხი მისცა ახალ მთავრობას: თქვენ გინდათ გამოყოთ ეკლესია სახელმწიფოსაგან მხოლოდ მცირე ერების შესახებ, ამავე დროს ფადი-შაჰი რჩება ხალიფათ. მე ამაზე ვერ დავთანხმდები. თუ საზოგადოთ გამოიყოფა ეკლესია სახელმწიფოსაგან მთელ იმპერიაში, მაშინ მეც დავკმაყოფილდები მარტო საეკლესიო საქმეებით და არც პოლიტიკაში მივიღებ მონაწილეობას...

ასე რომ, თუ ახალმა ოსმალეთმა სხვადასხვა ერების კულტურული მოთხოვნილებები არ დააკმაყოფილა, მისი დღეები დათვლილია ამის თავიდან ასაცილებლათ ერთათ-ერთი გზაა: შეთანხმება ყველა ერებთან და სახელმწიფოს ფედერატიულ საფუძველზე მოწყობა, ვინაიდან ოსმალეთს მეთაურობისთვის არც კულტურული და არც ნივთიერი ძალები არ მოეპოვება; მარა თუ მთელი ბალკანეთის ფედერაცია არ მოეწყო, არა გვგონია, ისე შესაძლებელი დარჩეს ოსმალეთში მცხოვრებ ერების შეკავშირება ამ საფუძველზე, ვინაიდან ბერძნების მისწრაფებას ათინისკენ, სერბების—ბელგრადისკენ და მაკედონელების—სოფიისკენ ვერავითარი სხვა საშუალება ვერ მოსპობს. ამისთვის კი საჭიროა წინასწარი ხანგრძლივი კულტურული მუშაობა, რომელიც მხოლოდ ეხლა იწყება ამ ნახევრათ ველურ აღმოსავლეთში და ისიც ეუგნებლათ. ეს ჯერ კიდევ შეგნებული არ აქვთ ახ. ოსმალებს და ამიტომ სხვადასხვა ერებისათვის რამეს დათმობა გამოწვეული იქნება სისუსტით და არა კეთილი განზრახვით. მას (დათმობას) გამოიწვევს ან ზნეობრივი ძალდატანება, ან შეიარაღებული ძალისთვის ასეთივე ძალის დაპირდაპირება, როგორც ჯავიდბეის ექსპედიციას მოუვიდა ალბანეთში, რომელიც სრულიად დამარცხდა და თოფ-ზარბაზნებიდან რეფორმების შემოღებას მიეცვეს ხელი...

შესწევს თუ ა'რა ამისთვის ძალა ახ. ოსმალეთს, გამოვლენ ამ მდგომარეობიდან გამარჯვებულნი თუ მსხვერპლნი გახდებიან მისი, ძნელი სათქმელია... ძახლობლათ აღმოსავლეთი კი, ჯერ კიდევ დიდხანს დარჩება ღიდებული ბრძოლის ასპარეზათ, რომელიც საზოგადოებრივ პოლიტიკური მხრით დიდათ საინტერესო და საგამალითო იქნება. (რ. ვ·).

თეატრი და ხელოვნება

ქართული წარმოდგენა ყარსში.

როგორც იქნა, მოვესწარით ყარსელები ქართულ წარმოდგენას. 11 ოქტომბერს სომხების სამოქალაქო სასწავლებლის შენობაში საქველმოქმედო მიზნით გაიმართა ქართული წარმოდგენა. წარმოდგენილი იყო ყაზბეგის სამ მოქმედებიანი დრამა „არსენა“. წარმოდგენამ გვარიანათ ჩაიარა. თამაშობდენ ახალგაზდა სცენის მოყვარეები. კარგები იყვენ ბ. ანანიევი „არსენა“, და ბ. რამანოვი „სირაჯი“. უკანასკნელმა ხალხი ბევრი აცინა. დანარჩენებსაც არა უშავდა.

კარგი იყო მეორე მოქმედებაში მუშური სიმღერა. ხალხი ბევრი დაესწრო. ბევრი იყვენ რუსებიც და სომხებიცა.

მადლობის ღირსნი არიან ყველა მომქმედნი პირნი. აგრეთვე ბ. გრ—ა, რომელმაც რეჟისორობა გასწია. არ იქნება ურიგო, რომ კიდევ გამართონ ქართული წარმოდგენა და უფრო ახალი რამე გვაჩვენონ ყარსელ ქართველებს, რომლებიც მოკლებული ვართ ქართულ წარმოდგენებს. **დამსწრე.**

ე. ნინოშვილის ძეგლის ასაგებათ.

—

„მომავალი“-ს რედაქ. მიიღო ე. ნინოშვილის ძეგლის ასაგებათ მირიან კობალაძისაგან ნავთობსიის მუშებში შეგროვილი 16 მ. 76 კ., რომელიც დანიშნულებისამებრ გადაეცა „ჯეჯილის“ რედაქ. ანასტასია წერეთლისას.

სია შემომწირველთა. ათ-ათი შაური: სოლომონ კობიძე, მელქისედე ელიაძე, პროკოფი ელიაძე, კაპიტონ ლომთათიძე, დიომიდე ხაბეშვილი, სერგი დოლიძე, ავქსენტი კვანჭანტირაძე, მელიტონ ლომთათიძე, სარდიონ ბოლქვაძე, ვარლამ ანდღულაძე, გიორგი სეფერთალიძე, ესე ჟღენტი, ნიკიფორე ხუნაიშვილი, სილიბისტრო კაკუა, დათიკო ჟღენტი, ბიქტორ გოგიბერიძე, დათიკო თავბერიძე, იაკობ ჟღენტი, პარმენ გოგიბერიძე, მირიან კალანდაძე, გუჯუ, მირიან კობალაძე; ექვს-ექვსი შაური: ესე სოსელია, ივანე გოგიტოშვილი, სამსონ გოგიტოშვილი, სანდრო გაგუა, ვასო ელიაძე, არსენ გოგუაძე, გიორგი ლომთათიძე, მოსე უნგიაძე; ხუთ ხუთი შაური: ისიდორე ჩიგოგიძე, ეფრემ პაიჭაძე; თითო აბაზი: თომა კალანდაძე, ლევარსი ლომთათიძე, ივანე ლომთათიძე, ლავრენტი ბუკია, პართენ მახარაძე, ილიკო გიორგაძე, ილია უნგიაძე, სოფრომ ჩიგოგიძე, სარდიონ ჩხიკვაძე, თეოფილე ჩხიკვიშვილი, ალექსი ლომთათიძე, ილარიონ ბოლქვაძე, ლადიკო ჩიგოგიძე. სულ 17 მ. გამოსაგზავნი ხარჯია 24 კ.

—

მატერიალურათ საშინელ ეკონომიურ გაჭირვებას განვიცდით აქაური ერთი ჯგუფი გურული ჯარის კაცები, მაგრამ ნიშნათ ღრმა პატივისცემისა და სიყვარულისა, სასიქადულო ხალხის შვილის, ეგნატე ნინოშვილის ძეგლის სასარგებლოთ გიგზავნით ჩვენს მცირე წვლილს.

შემომწირველთა სია: კლემენტი სანიკიძე 50 კ., პორფირი მეხუზლა 50 კ., დათიკო შეწირული 50 კ., ალექსანდრე გურგენაძე 50 კ.; იაკობ ქობთარია 40 კ., ყარამან მჟავანაძე 50 კ., ილარიონ სეფერთელაძე 40 კ. სულ შესდგა 3 მ. 30 კ. გამოსაგზავნი დაიხარჯა 15 კ. ვაგზავნით 3 მ. 15 კ.

ამხანაგების მინდობილობით **პორფირე მეხუზლა** *).

---

*) ეს ფული, 3 მ. 15 კ. გადაეცა დანიშნულებისამებრ. რედ.

—

„მომავლის“ რედაქციას. ეგნატე ნინოშვილის ფონდის გასაძლიერებლათ გიგზავნით 2 მ. და 35 კ. *), 15 კ. გამოსაგზავნი დაიხარჯა. გთხოვთ გადასცეთ დანიშნულებისამებრ და გამოაცხადოთ მახლობელ ნომერში. შემომწირველთა სია: [illegible] სიმონია, ივანე კაკურია და ერმილე გასაძე ათ-ათი შაური: ილია მეგრელიშვილი 1 მ.

ილია ანტ. მეგრელიშვილი.

შემოწირულება

„მომავლის“ რედაქციამ მიიღო თფილისის მთავარ სახელოსნოს ვაგონი ცეხის განყოფილებიდან ს. ჯუღელის ოჯახობის სასარგებლოთ ცხრამეტი მანეთი და თერთმეტი შაური—19 მან. 90 კაპ.

შემომწირველთა სია: ფ. ახობაძე 40 კ., დ. ლორთქიფანიძე 40 კ., დ. ჯიქიძე 30 კ., ი. დათუაშვილი 20 კ. გ. გონგაძე 20 კ., ე. გაბუნია 50 კ., ხ. ტერ-სტეფანოვი 15 კ., მ. ხუშტარა 50 კ., ლ. ენუქიძე 20 კ., კორტზე 20 კ., Ф. Рудаковъ 30 კ., Д. Жибковъ 20 კ., ვ. რუსია 10 კ., ნ. ქუთათელაძე 20 კ., ლ. ლ. 20 კ., ი. კაზაკოვი 10 კ., პ. მანჯგალაძე 20 კ., ვ. რთველიაშვილი 20 კ., ზ. კაკაშვილი 20 კ., ზ. კრივიშვილი 15 კ. გ. სოხაძე 20 კ., С. Грибиченко 50 კ., ი. ბერაძე 30 კ., Афетинъ 15 კ., თხელაძე 20 კ., ხვეტელაძე 30 კ, მაისურაძე 20 კ., მიმინაშვილი 20 კ., Сереткинъ 20 კ., А. Пастуховъ 20 კ., დ. ჩუთლიშვილი 20 კ., გ, ტატუნაშვილი 30 კ., ა. ქორიძე 10 კ., ი. რაფელაშვილი 10 კ., ი. ჯომაკიძე 30 კ., Б. Барановскій 1 მან., М. Довентосъ 25 კ., Георгіевъ 20 კ., Тумещенко 30 კ., აბზიანიძე 30 კ., Дащенковъ 30 კ., Давидовъ 20 კ., შავგულიძე 30 კ., Красовскій 20 კ., გაფრინდაშვილი 20 კ., Баротку 30 კ., Раслемовъ 20 კ., Турсонъ 20 კ., Новосартовъ 10 კ., მოსეშვილი 50 კ., ანდრაძე 15 კ., მეკურტნიშვილი 20 კ., თელია 20 კ., Пресняковъ 10 კ., Гоници 20 კ., ი. ბერიძე 20 კ., როტონიძე 20 კ., Носовъ 10 კ., Кобієвъ 10 კ., კუჩუხიძე 10 კ., ე. ისაკაძე 20 კ., დ. კერესელიძე 20 კ., ლ. ენუქიძე 20 კ., С. Корякинъ 20 კ., მ. ტიტირაშვილი 20 კ., Х. Огановъ 20 კ., გ. პირცხალაური 20 კ., პ. ნანიკაშვილი 10 კ., ა. გეორგობიანი 20 კ., კარსაულიძე 15 კ., ლაპაჩიძე 10 კ., ზანგალაძე 20 კ.. მანაველიძე 20 კ., Карапетъ 20 კ., Өедоровичъ 20 კ., გურგენიძე 10 კ., ხორბალაძე 10 კ., ვაზაკაშვილი 10 კ., ვ. კ. 20 კ., Егнатій 20 კ., მუხის გული 10 კ., ი. მანჯგალაძე 20 კ., ს. გამცემლიძე 20 კ., ლ. მჟავია 20 კ., ს. შენგელია 10 კ, ი. კოპ 15 კ., ჭავჭავაძე 10 კ., ი. ურია 5 კაპ., ბაბაია 10 კაპ., Монахъ 10 კ., Петрусовъ 10 კ., Акоповъ 10 კ., Норикъ 10 კ., ზუმბათა 10 კ., სამხნიაშვილი 10 კ., ვ. პატარქალაშვილი 20 კაპ. სულ 19 მან. 90 კ.

---

*) 2 მ. 35 კ. გადაეცა დანიშნულებისამებრ. რედ.

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. მელიქ-შახნაზარიანცი

ბ-ნ ილარიონ ვარდენისძე ღლონტს.

თქვენ ჩემს შესახებ გაავრცელეთ ჭორები: მე თქვენ მრავალ გზით მოგმართეთ მოციქულის პირით გამომეყვანეთ სამედიატორო სამართალში მაგრამ თქვენ არ ინებეთ. ეხლა მოგმართავთ გაზეთის საშვალებით გამომყევით სამედიატორო სამართალში, და უკეთუ დღიდან გამოცხადებისა თქვენ არ დაასახელებთ თქვენს მედიატორეებს, მაშინ მე ნება მექნება გიწოდოთ მეჭორე. ჩემის მხრით მედიატორეთ იქნებიან იოსებ და გერასიმე დ—ბი.

მიხეილ ზამბახიძე. 1—1

ექიმი
პ. არდაზიანი
ბავშვების და შინაგანი ავათმყოფ.
კუთხე მელიქოვისა და ალექსანდროვის ქუჩისა ინტენდანსტვოს პირდაპირ. მე-9 უჩასტკა: დილის 9—12 ს. და საღამოს 5—7 საათამდის.
Уголъ Меликовской и Александровской ул.
(0—11)

მე-II **სპეციალური კლასი**
(უკანასკნელის წინა განყ.) **ტერ-სტეფანოვის სავაჭრო სკოლაში, რომელსაც „ჩინის“ მისაღები უფლება აქვს**
იხსნება 1 ნოემბრიდან. მეცადინეობა იწყება ნაშუადღევის 4½ საათზე. ნახევარი წლის სასწავლო ფული 60 მან. უნდა შემოიტანონ წინდაწინ. მოსამსახურეებს შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გადაიხადონ. ველიკოკნიაჟესკაია, № 17, შესავალი მიხეილის ქუჩიდანაც აქვს № 16—18, ვორონცოვის ძეგლის მახლობლათ.
(3—6.—2)

კანტორა და სკლადი
ი. ახობაძისა
გადავიდა ნეკრასოვის ქუჩაზე, სახლი № 14 ვორონცოვის ძეგლის მახლობლათ.

სკლადში იმყოფება შემდეგი წამლები:
„სპერმატინი“
ავათმყოფებს და სუსტებს. ფლ. 2 მ. 40 კ.
„ალმეზა“
რომელიც აცხრობს უცბათ კბილის ტკივილს ნორმ. ფლაკ. 1 მ. 20 კ. სატელი 40 კ.

„კლაპოვინი“ სპობს ბაღლინჯოებს და მათ კვერცხებს, ფასი 35 კ. სალიუბლინი პროფესორ გიუმონდისა სუსუნატისა არჩენს ძველს და ახალს. ფასი ფლ. 2 მ. 50 კ.
„პრიმა“ სპობს თმის ქერწლსა და აჩერებს თმის ჩამოცვენასა. აგრეთვე ზრდის თმასა. ფასი ფლაკ. 1 მ. 20 კ.
მსურველთ ვეგზავნით ფას დადებითი. ბროშიურები უფასოთ. 30—6

სტამბა ამხ. „შრომა“. რუსის ქ. № 3